ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №61 (1571) 21-24 ივნისი, 1997 წელი



# ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვისმენ!..

## როგორმე შოთას თუ გადავურჩი, როგორმე შოთამ თუ მიგვატოვა...

ნოდარ გრიგალაშვილი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №59-60)

ᲬᲘᲜᲐ წერილში ერთი ღია საკითხი [...]ავსეი, თემა მის გამეორებას მოითხოვს. [...]ეიცი, მკითხველს ერთი კითხვა გაუჩნ[...]ება-მეთქი, ვწერდი – რა შუაშია ბატო[...] შოთა კვირაია, იქნებ რედაქტორს ისე [...]ესმენდნენ, მინისტრი არც კი იყო საქმის [...]ურსშიო.

ამაზე ხვალის ნომერში გესაუბრე[...]ით, ძვირფასო მკითხველნო, და თუ ჩემი [...]აუბარი ლოგიკურად მოგეჩვენათ, საბ[...]ლოოდ უნდა დამიდასტუროთ, რომ უშიშ[...]როების მინისტრი თავის ადგილზე არ [...]ის".

მართალია ხვალის ნომერი, ტექნი[...]კური მიზეზების გამო, ზეგის ნომრად [...]ქცა, მაგრამ დანაპირების შესრულება [...]ჯობია არშესრულებას. როგორც იტყვი[...]ნ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მაშ ასე,

### რა შუაშია მინისტრი?

მინისტრი რომ შუაში კი არა, თავში [...]ის, ეს ყველამ იცის, მაგრამ ამ ფათურ[...]კიანი საქმის თავშიც რომ იგარაუდება, [...]ს არ იცის ყველამ და არც მე მეცოდ[...]ინებოდა, მეტისმეტად რომ არ მომენ[...]დომებინა და კერძო დეტექტივივით კვალს [...]ბოლომდე არ გავყოლოდი...

როგორც გითხარით, პარლამენტის [...]საგამოძიებო კომისიამ ქვა ააგდო და [...]თავი შეუშვირა, ძიების დამთავრებამდე [...]სატელეფონო საუბრის გაშიფრულ დო[...]კუმენტს ვერ მოგცემთო. (ეს დოკუმენტი, [...]როგორც „საქართველოს" მკითხველმა [...]იცის, მაინც მოვიპოვე და წინა ნომერში [...]გამოვაქვეყნე).

მთლად ხელცარიელი პარლამენტის [...]საგამოძიებო კომისიიდან როგორ წამოვ[...]ედოდი.

აქედან ვუტრიალე, იქიდან ვუტრი[...]ალე და მიმდინარე საქმესთან დაკავ[...]შირებით, რომ შევატყვე ამ ღმერთგამწყრალებს ვერაფერს წაველიტავდი, ვთხოვე, ძველი კომისიის საქმეებში მაინც ჩამახედეთ, სუკის ძველი არქივები გაიხსნა და თქვენი ძველი არქივის კიდობანიდან ამოღებით რატომ დაიქცევა ქვეყანა-მეთქი.

ამჯერად, ჩემი მოთხოვნა კანონიერი იყო. როცა კანონს ჩემს მხარეზე ვგრძნობ, ჯარიანი კვირაიასი არ მეშინია და ამ უჯარო დეპუტატებს როგორ შევეპუებოდი.

გავხსენი „კიდობანი" და ერთ ისეთ ფასდაუდებელ დოკუმენტს წავაწყდი, პარლამენტიდან რედაქციამდე სულ „მთიულურის" ცეკვით ჩამოვირბენდი, „მოდარაჯე თვალის" შიში რომ არ მქონოდა, ე, მანდ ფსიქიატრიულში არ მიკრან თავი-მეთქი.

1997 წლის 24 თებერვალს პარლამენტის საგამოძიებო კომისიაში დაუბარებიათ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის უფროსი როზგენ ბერიშვილი, რომელსაც მიუცია შემდეგი სახის ახსნა-განმარტება:

*„დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში ვმუშაობ ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის უფროსად 1996 წლის სექტემბრიდან. სამსახურში არის ამდენი და ამდენი საშტატო ერთეულიო. სახელმწიფო საიდუმლოების არგამჟღავნების მიზნით ციფრს არ ვასახელებ ნ.გ.) რომელიც თითქმის დაკომპლექტებულია. ჩემი მუშაობის პერიოდში მთავრობისა და პარლამენტის რომელიმე წევრის მიმართ, არცერთი ტექნიკური ღონისძიება არ განხორციელებულა.*

*მოქალაქეთა ტელეფონების კონტროლი და სხვა ტექნიკური ღონისძიებები ჩემი უფროსობის პერიოდში ხორციელდება სათანადო სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ სანქცირებული დავალებით.*

*სამსახურის კურატორია მინისტრი ბ-ნი შოთა კვირაია*

ახსნა-განმარტება დაწერილია ჩემი ხელით, რაზედაც ხელს ვაწერ. (ტექსტს თან ახლავს ხელმოწერა და თარიღი, რომლის ფოტოპირსაც აქვე გთავაზობთ ნ.გ.).



ძვირფასო მკითხველო, კიდევ ერთხელ გულისყურით გადაიკითხეთ ეს ახსნა-განმარტება. როგორც ხედავთ, ბატონი როზგენი, ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის უფროსი, უბრალოდ რომ მოვთარგმნოთ, მოსმენაზე კონტროლი ვისაც ევალება, იმას კი წერს, რომ ჩემი უფროსობის პერიოდში მთავრობისა და პარლამენტის წევრების მიმართ არცერთი ტექნიკური ღონისძიება არ განხორციელებულა, არ მოგვისმენიაო, მაგრამ ჩემნაირ მოკვდავთა შესახებ დასძენს, „მოქალაქეთა ტელეფონების კონტროლი და სხვა ტექნიკური ღონისძიებები (ეს სხვა რა დარ-

2

## ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში მიღწეულია პროგრესი, არძინბამ მოსკოვი დატოვა



რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა, რომ მოსკოვში მიმდინარე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებისას მიღწეულია პროგრესი. დიპლომატის თქმით, რუსეთმა მხარეებს შეთანხმების ოქმი შესთავაზა, რომელიც ქართულ-აფხაზურ მომავალ ურთიერთობებს საქართველოს სსრ ყოფილ საზღვრებში ითვალისწინებს. თუმცა, დიპლომატს არ დაუზუსტებია, რა ფორმა ექნება ამ თანაცხოვრებას ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ გუშინ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ მოსკოვი დატოვა. (მოამბე-ექს-პრესი)

## გურამ ფანჯიკიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგომას აპირებს



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „პრემიერის" კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, მწერალი გურამ ფანჯიკიძე რამოდენიმე დღეში მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგება. „ამ თანამდებობაზე ჩემი სურვილის გარეშე დამნიშნეს. მე მრავალი საქმე მაქვს და ფიზიკურად ვერ ვახერხებ ყველა საქმის გაძღოლას" – აღნიშნა მან.

გურამ ფანჯიკიძე ხელმძღვანელობს „დავით აღმაშენებლის" საზოგადოებას და საზოგადოება „რაჭას". (პრემიერი)

## „კასანდრა" აყურებინეთ ხალხს"! – აცხადებს გურამ ფანჯიკიძე



ᲢᲔᲚᲔᲡᲔᲠᲘᲐᲚ „კასანდრას" ჩვენების დროს მთელ ქალაქში ქრება სინათლე. თუ ზუბიტაშვილი არ აყურებინებს თბილისელებს „კასანდრას", მაშინ საჯაროდ განაცხადოს რატომ – თქვა გურამ ფანჯიკიძემ. ელექტროენერგიის გამორთვა აღიზიანებს ხალხს და მთავრობის მისამართით უცენზურო დამოკიდებულების გამოხატვას იწვევს. (პრემიერი)

# როგორმე შოთას თუ გადავურჩით, როგორმე შოთამ თუ მიგვატოვა...

პირველი გვერდიდან

დუბალაა ნეტავი გამაგებინა) ჩემი უფროსობის პერიოდში ხორციელდება ამის და ამის სანქცირებული დავალებითო. ხოლო კურატორი თვით მინისტრი გახლავთო.

ამ დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ ალბათ დამეთანხმებით, ბატონი შოთა კვირაია ხსენებულ საქმეში შუაში კი არა, თავში რომ ყოფილა... ანუ საქმის კურსში რომ ბრძანებულა, ანუ მის გარეშე რომ ვერავინ გაბედავდა რედაქტორის ტელეფონის ჩართვას. ხოლო თუ კურატორის და თანაც მინისტრის გარეშე შეუძლია ვისაც მოეპრიანება იმან ჩამირთოს ტელეფონი და ჩემს სახელმწიფოებრივად „საშიშ" დიალოგებს უსმინოს, მით უარესი მინისტრ-კურატორისათვის... თუმცა უნდა გითხრათ, ძვირფასო მკითხველნო, რომ არც ეს ფაქტია საკმარისი იმისათვის, ჩემსავით იფიქროთ, ბატონი კვირაია თავის ადგილზე არ ზისო, ვიდრე სრულად არ აიწევა ფარდა და უკანონობის მთელი მექანიზმი არ გამოჩნდება.

## სად არის სანქცია?

უშიშროება იმის უშიშროება გახლავთ, რომ თუ დასჭირდა, ტელეფონსაც ჩაგირთავს და თქვენ წარმოიდგინეთ, გამოგირთავთ კიდეც. უუფლებო და უძლური უშიშროების სამინისტრო ქვეყანას არ სჭირდება, მაგრამ მისი კანონიერი უფლებების გამოყენება კანონიერ საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

კაცი ეჭვმიტანილი უნდა იყოს და მისი თვალთვალის შესახებ უშიშროებას სასამართლოდან სანქცია უნდა ჰქონდეს აღებული ან გადაუდებელ შემთხვევაში მოსმენის შემდეგ განსაზღვრულ ვადაში უნდა მიიღოს სანქცია.

სულ რომ არ მევალება, ამდენი მეც კი ვიცი.

ამიტომ ვსვამ კითხვას. მე, სადაზვერვო ობიექტი, ქვეყნის დამაქცევარი, ვიყავი თუ არა მათ მიერ ეჭვმიტანილი და სანქცირებული მოსმენისას?

დავუგდოთ ყური თვით უშიშროების სამინისტროს. აი, რა მაცნობა მან თავისი პრეს-ცენტრის საშუალებით:

გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს,
ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

*ბატონო ნოდარ!*

*გუშინ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კოლეგიამ ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომლის სრული ტექსტია:*

*„დღეს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს უშიშროების სამინისტრო უსმენდა გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის სატელეფონო საუბრებს.*

*საქართველოს უშიშროების სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა ამ ფაქტთან დაკავშირებით, მიიჩნია იგი სრულიად უსაფუძვლოდ და მიმართა გენერალურ პროკურორს ჩაატაროს პრესაში გამოქვეყნებულ ფაქტთან დაკავშირებით სათანადო შემოწმება კანონით დადგენილი წესით. უშიშროების სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლები მზად არიან წარადგინონ ყველა საჭირო მასალა და მისცენ სათანადო განმარტებები".*

*ბატონო ნოდარ, გავრცელებულ განცხადებაში თქვენს მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი. აღნიშნული განცხადების თქვენეული ინტერპრეტაცია უსაფუძვლოა.*

*საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახური"*

როგორც ხედავთ უშიშროების სამინისტრო თავად აცხადებს, რომ საქმე ჩემს წინააღმდეგ არ აღუძრავთ. უფრო მეტიც, ისინი უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ბრალდებას, ანუ აცხადებენ, რომ ჩემს მიმართ მათგან მოსმენას საერთოდ არ ჰქონია ადგილი. ბუნებრივია, სასამართლოს სანქციაზე, მათივე აღიარებით, ლაპარაკიც ზედმეტია.

ამის შემდეგ იქნებ არცკი იყოს საჭირო, მაგრამ რადგან მკითხველს შევპირდი, სულ დოკუმენტებით ვილაპარაკებ-მეთქი, და ისეთ სამინისტროსთან მაქვს საქმე, სხვანაირად კინწს მომატეხინებენ, კიდევ ორ დოკუმენტს შემოგთავაზებთ, რომლითაც ირკვევა, რომ ჩემი მოსმენისათვის მათ კანონიერი საფუძველი არ ჰქონდათ.

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს დავით კალმახელიძეს.

*ბატონო დავით*

*„საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ" კანონის შესაბამისად, გთხოვთ გვაცნობოთ ქალაქ თბილისში მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების კონტროლის თაობაზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წარმოდგენილი რამდენი მოტივირებული დადგენილება იქნა სანქცირებული მოსამართლეების მიერ 1996 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე.*

ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარე, თავის მხრივ, იძლევა შემდეგ პასუხს.

საქართველოს პარლამენტის
დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ მ.ოსაძეს

*მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების კონტროლის თაობაზე სათანადო სანქციის მისაღებად სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თბილისში მოსამართლისათვის არასოდეს მიუმართავს.*

*მითითებული სამინისტროდან* დედაქალაქის რომელიმე სასამართლოში არ შემოსულა არც ერთი შეტყობინება და მასალები აღნიშნული ღონისძიების ჩატარების შემდეგაც, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი გადაუდებელ შემთხვევაში.

თბილისის საქალაქო
სასამართლოს თავმჯდომარე
ა.კალმახელიძე

ბეჭედი და ხელმოწერა ტექსტს ახლავს. იხ. ფოტოფირი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ მოსმენა, თუკი ასეთს ადგილი ჰქონდა, უკანონოა.

მოსმენას რომ ადგილი ჰქონდა, წინა ნომერში გამოქვეყნებული დოკუმენტით დამტკიცდა.

ახლა მხოლოდ ის დარჩა გასარკვევი, მე ვუსმენდი უშიშროების სამინისტროს თუ უშიშროების სამინისტრო მისმენდა მე...

ვფიქრობ, ამ „ურთულეს" პრობლემას რესპუბლიკის პროკურატურა, რომელსაც უშიშროების სამინისტროს კოლეგიამ მიმართა, ადვილად გამოიძიებს...



იუსტიციის სამინისტრო
თბილისის საქალაქო
სასამართლო

საქართველოს პარლამენტის დროებითი
საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მ. ოსაძეს

მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების კონტროლის თაობაზე სათანადო სანქციის მისაღებად სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თბილისში მოსამართლისათვის არასოდეს მიუმართავს. მითითებული სამინისტროდან დედაქალაქის რომელიმე სასამართლოში არ შესულა არც ერთი შეტყობინება და მასალები აღნიშნული ღონისძიების ჩატარების შემდეგაც, თუ ასეთს ქონდა ადგილი გადაუდებელ შემთხვევაში.

თბილისის საქალაქო
სასამართლოს თავმჯდომარე ა. კალმახელიძე

---

● სარედაქციო ფოსტიდან

# გაზეთ „საქართველოს" მთავარ რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ!

რამოდენიმე დღეა ვკითხულობ პრესაში პუბლიკაციებს უშიშროების სამინისტროს მიერ თქვენი სატელეფონო საუბრების მოსმენის თაობაზე, რამაც ძლიერ აღმაშფოთა.

თავისუფალი საქართველოს უშიშროების სამინისტრო თითებზე ჩამოსათვლელ იმ ერისშვილებს, რომლებიც ქვეყნისათვის ზრუნვაში ათენ-აღამებენ, თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს, იფარავდეს მათ ავი თვალისაგან, ბოროტი ენისაგან. იქნებ სწორედ ამანაც განაპირობა ესოდენ დიდი „ყურადღება და მზრუნველობა" თქვენდამი. რას იზამთ, მაგათ რალა ქნან, რაც იციან და როგორც იციან, ისე ირჯებიან. ამის წამკითხველმა ვიფიქრე, ღმერთმანი, რაც მალე წავალთ იმ ჩვენს სხივმოსილ წინაპრებთან და თავდადებულ ბიჭებთან, ისა სჯობს-მეთქი. იმიტომ შევეწირა ჩვენი ჯიში და გენი ამ უბედურებას, რომ ძველმა კომუნისტურმა ელიტამ ისევ იპარპაშოს, იგრიალოს, იპირპატიოს, ქვეყანამ და ხალხმა კი ცრემლით დამბალი ცარიელი პურის ლუკმა ყლაპოს? რატომღა უნდა გვჭირდებოდეს ჩვენ სტატიებით, ნარკვევებით, მოგონებებით, გახსენებებითა და ათასი რჩევა-დარიგებით აღმა-დაღმა სირბილი ამ უკვე განთავისუფლებულ, გადემოკრატიულებულ საქართველოში და იმის ქადაგება, რომ, თანამდებობა ბოროტად არავინ გამოიყენოს, არ იქურდოს, არა კაც ჰკლას, არ გაყიდოს სინდისი, ზნეობა და სამშობლო მიწა. იმიტომ, რომ სამწუხაროდ, დღეს ქვეყანა ჯერ კიდევ ურწმუნო-მორწმუნეთა, უზნეოთა და რწმენის გამყიდველთა ხელშია. მოდი და იძახე, დამოუკიდებლები და თავისუფლები ვართო.

თქვენმა მდგომარეობამ ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ერთი ამბავი გამახსენა. უნივერსიტეტის დიპლომის აღებიდან სულ რამოდენიმე დღეში დამიბარეს, ოღონდ თქვენსავით პარლამენტის საგამომძიებლო კომისიაში კი არა, პირდაპირ მაშინდელ სუკ-ში. ვიფიქრე, სამშობლოს ღალატი გულში არასდროს გამივლია და რა უნდა იყოს-მეთქი. ბოლოს დავასკვენი, ალბათ, ჩვენი თავდადებული წინაპრების, გმირების, მეფეების ქებადიდებაში თუ გადავაჭარბე სადღეგრძელოებში და ეს იქნება მიზეზი-მეთქი.

ჩემი დამბარებელი, 40-45-იოდე წლის პატარა ტანის კაცი, ძალიან ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. მაღალ ხელფასზე, შეღავათებზე და ბევრ სხვა სიკეთეზე საუბარი რომ დაამთავრა, შემომთავაზა თანამშრომლობა. მადლობა მოვახსენე დიდი ნდობისათვის და ვუთხარი, ჩემი მოწოდება და გულიც უფრო სამეცნიერო სარბიელზე მეწევა-მეთქი. იქნებ მოიფიქროთ. ნაფიქრალიც მაქვს და ერთი ღვთისნიერი პროფესორი ჩემში რაღაცას ხედავს, იმას უარს ვერ ვეტყვი-მეთქი. ძალიან რომ ჩამაცივდა, ვუთხარი, მე არ შემიძლია სხვისი თვალთვალი-მეთქი. თუ ეს შენს ქვეყანას და ხალხს სჭირდებაო? ქიზიყელი კაცისა ხომ მოგეხსენებათ, პირდაპირ მივუგე – ქვეყანასა და ხალხს რაცა სჭირდება, ის ყველამ ხმამაღლა და პირდაპირ უნდა სთქვას და საჩურჩულო არ უნდა იყოს-მეთქი. შევატყვე, გული დასწყდა, რომ ვერ დამიყოლია. ისე რომ ვთქვათ, ყველაზე მაღალზნეობრივი, ვაჟკაცური და ეროვნული სულის ადამიანები არ უნდა მიდიოდნენ ორგანოებში?

საქმე იმაშია, მაშინ ამათ რომ უარი ვუთხარი, სამეცნიერო სარბიელზედაც მომეცარა ხელი. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაშინდელმა აწ განსვენებულმა დეკანმა ჩემით დაინტერესებულ ცხონებულ პროფესორს უთხრა: კაცო, ამას დახასიათებას როგორ მივცემ, ეგ მეგობრებსა და ქეიფს დიდ დროს უთმობსო. თუკი ეს კაცი კარგად სწავლასაც ასწრებსო? მე არაფერი არ ვიცი, აი, გამოგიგზავნი მონდომებულ ბიჭს, მართალია, სამიანებზე დაამთავრა, სამაგიეროდ წიგნზე ჯდომა უყვარსო. ჩემმა პროფესორმა ხელები გაშალა და ასპირანტურაში, ახალი საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, ჩემთვის დაშვებული ერთადერთი ლიმიტი გააუქმა. ახლა მებადება ეჭვი, ხომ არ იქონია გავლენა ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობაზე მაშინ ნათქვამმა უარმა?

მოდი ახლა და გაუგე რამე ამ ცხოვრებას. ჩვენი სუკისათვის ყველა საჭირო მონაცემის მქონე კაცი ასპირანტურაში სწავლის ღირსად არ გამხადეს. მერე რაო, მე და ჩემისთანებმა – უპარტიოებმა, უცენზოებმა, უხარისხოებმა, ვერ გავზარდეთ ისეთი შვილები, სამშობლოს ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე მის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ნათელ მომავალს უყოყმანოდ რომ შესწირეს სიცოცხლე?

*P.S. ბატონო ნოდარ! ჩემი მაშინდელი ნათქვამი უარის თავიდათავი მიზეზი მაინც სხვა იყო. მაშინ არც ცეკა, არც მთავრობა, არც სუკი არ აკეთებდა ქართულ ეროვნულ საქმეს.*

*ახლა, ახლა კი აკეთებს? ღმერთმა ქნას...*

**ჯემალ შაიშმელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფინანსებენ „საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტს"

საქართველოს პარლამენტში გაიმართა „ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის" კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს „საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტის შესრულების მიმდინარეობა. მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ პროექტის მომზადება 1995 წლის აპრილიდან დაიწყო. მოსამზადებელი ეტაპის დაფინანსება განახორციელა იაპონიის მთავრობამ. მათ ამ მიზნით გამოყვეს 500000 აშშ დოლარი. პროექტის დაფინანსება ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის მიერ 15 მლნ აშშ დოლარს და საერთაშორისო ფონდის მიერ 6,5 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას.

მსოფლიო ბანკის პროექტის ხელმძღვანელი გოგი მაღლაკელიძე აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკის სასესხო ფონდებიდან დაფინანსდებიან კერძო საწარმოები, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სექტორთან. სესხები გამოიყენებდა ბოლო 5 წლის განმავლობაში გაჩერებული საწარმოების რეაბილიტაციისათვის, ერთობლივი საწარმოების შექმნისა და საქართველოში ახალი ტექნოლოგიების შემოტანისათვის. „ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის" კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა პროექტი შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი და მხარდაჭერა აღუთქვა მის განხორციელებას. (პრემიერი)

## 1998 წელს პენსიონერებს 16 ლარს ჰპირდებიან

საქართველოს პარლამენტში „ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის" კომიტეტის საკომიტეტო მოსმენაზე განიხილეს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 1998 წლისათვის პენსიის საშუალო რაოდენობა მიაღწევს 16 ლარს, მოხდება პენსიების დიფერენციაცია ქალაქად და სოფლად. სოფლად მცხოვრები პენსიონერი ქალაქად მცხოვრები პენსიონერის პენსიის 70% მიიღებს. ამ აზრმა კომიტეტის წევრების უკმაყოფილება გამოიწვია. აღინიშნა, რომ ეს გამოიწვევს დაპირისპირებას ქალაქსა და სოფელს შორის, რაც დაუშვებელია. (პრემიერი)

## ხევსურეთში ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს

გრიგალისებურმა ქარმა, რომელიც 2 დღის განმავლობაში მძვინვარებდა ხევსურეთში, დააზიანა არხოტის საცხოვრებელი სახლები. სტიქიამ საშიში მდგომარეობა შეუქმნა ადგილობრივ მკვიდრს, გურამ ოჩიაურს. დუშეთის რაიონის გამგებელმა კობა ბუჩუკურმა „მოამბე-ექს-პრესის" კორესპონდენტმა განუცხადა, რომ ორი დღის განმავლობაში სთხოვდა დახმარებას ავიაკომპანია „აისს" და მხოლოდ გუშინ შსს მინისტრის, კახა თარგამაძისა და შინაგანი ჯარების სარდლის, გია შერვაშიძის უშუალო ჩარევით გახდა შესაძლებელი ვერტმფრენის გაგზავნა არხოტში ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. (მოამბე-ექს-პრესი)

# პარლამენტის დემოკრატიას დასამარება ემუქრება — ამბობს შალვა ნათელაშვილი

*– ბატონო შალვა, თქვენ საერთო სასამართლოების კანონის მიღების დროს მოითხოვეთ ფარული კენჭისყრა ბიულეტენებით. რატომ, კომპიუტერულ სისტემას არ ენდობით?*

– ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა კურდღელივით უფრთხის ამას. ასე იყო პარლამენტის გახსნის პირველი დღიდანვე და ეს ტენდენცია გრძელდება დღემდე. ფორმა, რომელიც ჩვენთან კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს, ქვეყნის დაცინვაა და დემოკრატიის ფეხებზე დაკიდება. კენჭისყრის პულტები გამოსაჩენია მეზობლისთვის, ზევით – პრესისთვის და ტელევიზიისთვის. ამას ემატება ახალგაზრდა „ხუნვეიბინი" აქტივისტების კონტროლი, რომლებიც ნაწილდებიან „მოქალაქეთა კავშირის" თითოეულ რიგზე და ფრთხილად ადევნებენ თვალყურს დირიჟორის მითითების შესრულებას: გაიყვანონ ის კანდიდატურა, ვინც სურთ და ჩააგდონ მათთვის არასასურველი.

*– ყოველთვის ასე ხდება?*

– საუბარი მაქვს საპარლამენტო თანამდებობებზე, მინისტრების დამტკიცებაზე, სახალხო დამცველის არჩევაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არჩევამდე, მოკლედ, ყველა იმ პირზე, ვისაც ამტკიცებს, ირჩევს და ნიშნავს პარლამენტი. თუ უმრავლესობას ერთმანეთის რწმენა არა აქვთ და არ ენდობიან ერთმანეთს, რომ ფარული კენჭისყრის დროს მოხდება აზრთა მკვეთრი პოლარიზაცია, რა ფასი აქვს ასეთ უმრავლესობას. რა ფასი აქვს, როდესაც საჭირო



ხდება მსტოვართა და მეთვალყურეთა ინსტიტუტი. ამას ემატება ისიც, რომ ბოროტი ხმები დადის, ყოველი ფარული კენჭისყრის შემდეგ კომპიუტერიდან იღებენ სიას ვინ რა ხმა მისცა. როგორც შევიტყვე, კომპიუტერი იმ ხუთი წუთის განმავლობაში არ შლის მონაცემებს. იღებენ და შემდეგ ფრაქციის სხდომაზე იხილავენ, რომ მავანმა და მავანმა გვიღალატაო, პირდაპირ ტყავს აძრობენ ასეთს. ის პროცესი გრძელდება, რაც არჩევნების დროს დაიწყო, ყუთების გამოცვლა, წინადღით ბიულეტენების დარიგება, ჯიბეების ამოვსება და ჩაყრა უსინდისოდ. ყალბი გზით არჩეული ხელისუფლება აგრძელებს პარლამენტში ყალბ მოღვაწეობას. ეს დემოკრატიის დასამარებაა, რაც პარლამენტს ემუქრება. ახლა სურთ დააკომპლექტონ „მოქალაქეთა კავშირის" საკუთარი სასამართლო. ეს უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოების მსჯელობის საგანი. საერთაშორისო ორგანიზაციებმაც უნდა იმსჯელონ ამის შესახებ. სხვათაშორის, მიუხედავად ტექნიკის განვითარებისა ქაღალდით კენჭისყრა ვერაფერმა შეცვალა.

*– ეს ხომ დიდ დროს წაიღებს?*

– აირჩევა ხმის დამთვლელი კომისია, ყველა ფრაქციიდან თითო კაცი და ამ საქმეს მიხედავენ. მოვუწოდებ ბატონ პრეზიდენტს დაადოს ვეტო სასამართლო რეფორმის იმ კანონის მუხლებს, სადაც უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება გათვალისწინებულია ვითომ ფარული კენჭისყრით, მაგრამ პრაქტიკულად ღია წესით, პულტების გამოყენებით.

*– მე მეგონა თქვენ ეჭვი გეპარებოდათ ტაბლოსა და პულტების გამართულ მუშაობაში?*

– ეს არის ადამიამისდროინდელი ტექნიკა. არ მჯერა, რომ ვერ მონახა თანხა ნორმალური აპარატურის დამონტაჟებისათვის. არსებობს ბარათები, რომლებსაც მეზობელი ვერ ხედავს რა მხრიდან ჩადე და როგორი ხმა მიეცი – უარყოფითი თუ დადებითი. ეს სისტემა სხვისი პულტების გამოყენებასაც აკრძალავდა.

*– დიახ, ჩვენ ზემო სართულიდან კარგად ვხედავთ ხოლმე ვინ რამდენ პულტს იყენებს, ეწერთ კიდეც. არ გრცხვენიათ?*

– დეპუტატები პიანისტები გახდნენ. ერთდროულად 10–15 პულტზე მუშაობენ. მალე პულტის მატარებლების შტატსაც დააკომპლექტებენ; დააქვთ ჯიბეებით და ჩანთებით. ეს პარლამენტი კი არა, ამაოების ბაზარია.

ესაუბრა
**მარიამ ქავთარაძე**

# ექსპერტიზა ქაღალდზე დარჩება, თუ ქართველმა დიპლომატებმა მოქნილობა არ გამოიჩინეს

ევროკომისიის ადამიანის უფლებების დაცვის პრეზიდენტმა, სტეფან ტრეხსელმა, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა სამუშაო ვიზიტით, რათა ევროსაბჭოს წარუდგინოს დასკვნა საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, 19 ივნისს პრესკონფერენცია თავისებურად წარმართა. ეტყობა, იგი სადღაც დააკვალიანეს, რომ თუ ქართველი ჟურნალისტების (და არა მხოლოდ მათი) გულისმოგება სურს, ბევრი უნდა ილაპარაკოს თბილისზე. ასევე, უხერხული კითხვების თავიდან ასაცილებლად, ხშირად მოიყვანოს პარალელები რუსეთში ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების შესახებ. როგორც თვითონ თქვა, მისი ექსპერტიზა შაურიც არ ღირს, რადგან მიუხედავად რუსეთში მისგან დაფიქსირებული მძიმე დარღვევებისა და მისი წინააღმდეგობისა, რუსეთი მაინც მიიღეს ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში. ასე რომ, ევროსაბჭოში ჩვენი მიღება უფრო საქართველოს პრეზიდენტზე და დიპლომატების ფხიანობაზეა დამოკიდებული, ვიდრე ჩატარებულ ექსპერტიზაზე. ბატონმა ტრეხსელმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ საქართველოში მათთვის ყველა კარი ღია იყო და იგი შეხვდა პატიმრებსაც და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. ინახულა სიკვდილმისჯილები, რომელთა მდგომარეობა საშინელია. ისინი პატარა, ბნელ ოთახში იმყოფებიან, რომელშიც გამუდმებით ბჟუტავს ნათურა და დღეში მხოლოდ 15 წუთით გამოჰყავთ მზის სინათლეზე, დანარჩენი 23 საათი და 45 წუთი ისინი არაადამიანურ პირობებში არიან.

ექსპერტმა ისაუბრა სასამართლოში გამეფებულ კორუფციაზე, პოლიციელთა არაკორექტულ ქცევაზე, მაგრამ ყველაფერი დაბალ ხელფასებს და ეკონომიკურ გაჭირვებას დააბრალა. მისი აზრით, საქართველოში ადამიანის უფლებები ისეთივეა, როგორც



თბილისში, სადაც არის დანგრეული სახლებიც და ახალი მშენებლობებიც მიმდინარეობს. სტუმარმა თავი აარიდა კითხვას: არის თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები და ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებზეც კონკრეტულად არ შეჩერებულა. ენახოთ, რა დასკვნას წარუდგენს ევროსაბჭოს შემოდგომაზე ბატონი ტრეხსელი.

**მანანა იაშვილი**

# „გამარჯვების შანსი მეტ-ნაკლებად ოპოზიციასაც უნდა მიეცეს"

გუშინ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შენობაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც ადგილობრივი მმართველობის არჩევნების შესახებ კანონპროექტის ავკარგიანობას შეეხო. პრესკონფერენციაში რესპუბლიკელებთან ერთად მონაწილეობდნენ კონსერვატორთა ლიგის, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების, ჭავჭავაძის საზოგადოების, ქართველ ნაციონალისტთა ერთობის წარმომადგენლები. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ კანონპროექტში არსებული ვარიანტის მიღება ფაქტობრივად გამოიწვევს დღევანდელი მმართველი პარტიისათვის ხელისუფლების სამუდამო დაკანონებას.

გამგებლობის დანიშვნის ფაქტი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მით უმეტეს გაუგებარია ეს ნაბიჯი იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება საყოველთაო სტაბილიზაციის დადგომის შესახებ ლაპარაკობს. პრესკონფერენციაზე აღინიშნა კანონპროექტის სერიოზული კორექტირების აუცილებლობის შესახებ.

პრესკონფერენციის ორგანიზატორებს სურთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და თვლიან, რომ გამარჯვების შანსი მეტ-ნაკლებად ოპოზიციასაც უნდა მიეცეს. „ჩვენ არ წავალთ არჩევნებზე, თუ არ მოგვეცა ნორმალური, დემოკრატიული არჩევნების სივრცის შექმნის საშუალება" – განაცხადეს მათმა წარმომადგენლებმა. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა დანიშვნის საკითხი. მათი სურვილია, რომ საარჩევნო კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლებიც შევიდნენ და თუ ეს არ გაკეთდა, პარტიები არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებენ და პროტესტის ყველანაირ ფორმას მიმართავენ.

**ქ.კიკნაძე**

## ნუგზარ ნაყვა... 

## ნულის ნაყვა

გუშინ საღამოს მოსკოვში უშედეგოდ დამთავრდა ქართულ-აფხაზური კონსულტაციების მორიგი რაუნდი. ორკვირიანი მოლაპარაკების შედეგად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, მხარეთა პოზიციები მნიშვნელოვნად დაახლოვდა. კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური დოკუმენტის ხელმოწერის გზაზე მთავარ წინააღმდეგობად კვლავინდებურად აფხაზეთის საკითხი რჩება.

ვლადისლავ არძინბას განცხადებით აფხაზეთს უფლება აქვს საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეს და ძნელია მოიძებნოს ფორმულა, რომელიც აფხაზურ და ქართულ სახელმწიფოებს გააერთიანებდა. ამჟამად მოლაპარაკებაზე შესვენებაა გამოცხადებული, მოელიან, რომ კონსულტაციები უახლოეს ხანში გაგრძელდება. (პრემიერი)

## უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოდან ახალ ელჩს გააგზავნიან

საქართველოს კონსტიტუციის 73 მუხლის შესაბამისად პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გივი ზურაბის ძე აბდუშელიშვილის კანდიდატურა. პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა 4 კითხვით მიმართა აბდუშელიშვილს: 1) დაესახელებინა შემოსავლის წყარო (პასუხი – მხოლოდ ხელფასი), 2) თანახმაა თუ არა იგი, პარლამენტის მიერ მომზადებული დეკლარაციის მიხედვით, წლის ბოლოს წარადგინოს შემოსავლის რაოდენობა (პასუხი – დადებითი), 3) ხომ არ არის ვინმე დაინტერესებული მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნით (პასუხი – უარყოფითი), 4) ხომ არ ყოფილა ოდესმე რომელიმე უცხო ქვეყნის სპეც.სამსახურში (პასუხი – უარყოფითი). გივი ზურაბის ძე აბდუშელიშვილის კანდიდატურას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო შემდეგ სხდომაზე დაამტკიცებს. (პრემიერი)

## რაჭველებმა იტალიურ კარტოფილზე უარი განაცხადეს

რაჭის რამოდენიმე სოფლის მოსახლეობამ არ მიიღო იტალიური კარტოფილი – განაცხადა „პრემიერის" კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში თედო ისაკაძემ. იტალიურ კარტოფილს საქართველოში სათესლე კარტოფილი არ მოჰყავს, ამიტომ ყოველწლიურად საჭირო იქნება მისი ჩამოტანა იტალიიდან, რაც ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული. (პრემიერი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ...

*1997 წლის 14 ივნისს, შაბათს საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიანი არჩევნებმა" ჩაატარა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონპროექტის განხილვა. მასში მონაწილეობდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების, პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მასმედიის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს პარლამენტისათვის, რომელიც კანოპროექტს უახლოეს პერიოდში განიხილავს. მოწვეული სტუმრებიდან განხილვას არ ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ჯონი ხეცურიანი.*

*შეხვედრაზე გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ წაიკითხა 13 ივნისს პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ქვემოთ მოყვანილი განცხადება.*

*საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიანი არჩევნები" შეაჯერებს განხილვის შედეგებს და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციების სახით.*

## განცხადება

13 ივნისი, 1997 წ.

კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმარველობისა და მმართველობის შესახებ" აგებულია ადგილზე საქართველოს პრეზიდენტის შეუზღუდველი ძალაუფლების მექანიზმის შექმნის დაუფარავი მიზნით. ეს მექანიზმი ასეთია: პრეზიდენტი ნიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების საკვანძო თანამდებობათა პირებს. ადგილობრივ საკვანძო თანამდებობათა პირები აღჭურვილნი არიან კომპეტენციებით, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს შეუზღუდველი გავლენა იქონიონ სათანადო ტერიტორიის ცხოვრებაზე (და ეკონომიკურ ცხოვრებაზე კერძოდ). თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკაში ადმინისტრაციისგან მეტნაკლებად დამოუკიდებელი წარმატების შესაძლებლობები თითქმის ნულს უდრის, ცხადი გახდება, რომ წარმოდგენილი პროექტი ადგილობრივ ხელისუფალთა - სახელდობრ, გამგებელთა და მერთა - მიერ მოსახლეობის სრულ დაქვემდებარებას და პრეზიდენტის მიერ ადგილობრივ ხელისუფალთა სრულ დაქვემდებარებას მოასწავებს. ადვილი დასანახია, რომ ამგვარი მექანიზმის შექმნა საშუალებას იძლევა, ერთის მხრივ, პროვინციიდან სახსრების შეუზღუდავი არაოფიციალური ამოტუმბვისათვის (ბიუჯეტის შეუვსებლად), მეორე მხრივ კი საარჩევნო პროცესთა განუკითხავი მართვისა და ფალსიფიკაციისათვის. მხედველობაში გვაქვს კერძოდ კანონპროექტის შემდეგი პუნქტები (მოვყვებით თავიდან).

მუხლი 10.4 ა) და ბ) სადაც ნათქვამია, რომ მერი ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 11.4 ა) და ბ) სადაც ნათქვამია, რომ რაიონის გამგებელი და მისი პირველი მოადგილე ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 22, სადაც განსაზღვრულია გამგებლის (მერის) უფლებები, მათ შორის პუნქტი „3", სადაც ლაპარაკია საკრებულოს დათხოვნის უფლებაზე ისევ პრეზიდენტის მიერ დანიშნული რწმუნებულისადმი მიმართვის გზით.

ამ კანონპროექტებისთვის დართულ განმარტებით ბარათში და პარლამენტისადმი პრეზიდენტის მიმართვაში მოცემული არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია უნდა დაიყოს ორ ეტაპად და დღევანდელ პირველ ეტაპზე მისი დემოკრატიულად აგება შეუძლებელია, მოკლებულია დამაჯერებლობას. საქმე ის გახლავთ, რომ დემოკრატიის შეზღუდვა ანუ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ფუნქციების შეკვეცა სახელმწიფოს სასარგებლოდ აზრიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები არ ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს დღეს ან ისტორიულ პერსპექტივაში. წინამდებარე ტექსტში, პირიქით, დანიშნული გამგებლის და მერის კომპეტენცია დაკომპლექტებულია სწორედ იმ საკითხებით, რომელიც მოსახლეობისათვის ყველაზე საინტერესოა და რომელშიც მოსახლეობის და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა (სახელმწიფო მოხელის პირადი გამდიდრების ინტერესთა გამოკლებით) და პირიქით: ადგილობრივი თვითმმართველობის (და არა მმართველობის) კომპეტენციაშია დატოვებული ისეთი მწვავე საკითხი, როგორიცაა მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა (8.3.3).

ლოგიკურია, რომ აღმასრულებელი ფუნქციების მატარებელი ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციიდან ამოღებული იყოს საკითხები, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობის დღევანდელი ინტერესები არ ემთხვევა ან შეიძლება არ ემთხვეოდეს მისსავე გრძელვადიან ინტერესებს ან სახელმწიფოს ზოგად ინტერესებს. (გზათა მშენებლობის სტრატეგია, ეკოლოგიური სტრატეგია, მიწათსარგებლობის სტრატეგია და სხვა).

თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი პოლიტიკური პარტიები

- მიუღებლად ვრაცხთ ამ კანონპროექტს და მოვუწოდებთ საქართველოს ყველა ეროვნულსა და დემოკრატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ჩვენთან ერთად იბრძოლონ ამ კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ, ვინაიდან წარმატება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანობის შემთხვევაში.

- ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ, საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა ღონეს მივმართავთ, რათა ეს კანონპროექტი ამ სახით მიღებული არ იქნას.

- კონსტრუქციულობის ინტერესებიდან გამომდინარე, ვთავაზობთ კანონპროექტის ავტორებს თანამშრომლობას კანონის საბოლოო ტექსტის შემუშავების პროცესში.

1. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
2. კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება;
3. ქეთევან წამებულის საზოგადოება;
4. საქართველოს მთიელთა კავშირი;
5. საქართველოს კონსერვატიული ლიგა;
6. ქართველ ნაციონალისტთა ერთობა;
7. პარტია „საქართველოს გული";
8. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

# აკაკი ასათიანი: კვირაიას ან უნდა უთხრა, რომ გადადგეს, ან უნდა მოხსნა



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნებთან დაკავშირებით, დღეს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა აკაკი ასათიანმა პრესკონფერენცია გამართა. აღინიშნა, რომ ხელისუფლების აქამდე ფარული მოქმედება უკვე დაუფარავი გახდა, რაც ადგილობრივი თვითმმარველობის ორგანოებში არჩევნების გადადების მცდელობით გამოიხატა. ეს კი ასათიანის თქმით, ხელისუფლების მიერ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. მისივე თქმით, არჩევნების ჩატარება აუცილებელია საქართველოს ეროსაბჭოში გაწევრიანებისათვის, საზოგადოების გაჯანსაღებისათვის, ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებისათვის. აქვე აღინიშნა, რომ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი ერთი შეკითხვით - საჭიროა თუ არა არჩევნები. ამასთან დაკავშირებით, კავშირი ყრილობაზე მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ერთ კვირაში გაიმართება. ამის შემდეგ კავშირი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანს წინადადებას ხელმოწერების შეგროვების თაობაზე (სულ საჭიროა 200 ათასი ხელმოწერა).

აასათიანმა ისაუბრა ტრადიციონალისტთა კავშირის სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობაზე. ჟურნალისტის შეკითხვაზე, ითანამშრომლებს თუ არა იგი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, კავშირის ლიდერმა უარყოფითი პასუხი გასცა და განაცხადა, რომ „ისარიშვილი-ჭანტურია ე.შევარდნაძის დაქირავებული მოხელის დონეზე მოქმედებს და ეს არ არის პარტიის საქმიანობა". მისივე თქმით, ედპ-ს ლიდერის უშიშროების მინისტრის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიაც ე.შევარდნაძის დაკვეთითაა.

რაც შეეხება უშიშროების მინისტრს, აასათიანის აზრით, შ.კვირაია თანამდებობიდან უნდა გადადგეს. კავშირის ლიდერისათვის გაუგებარია ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკა „თუ მინისტრი არ ვარგა, ან უნდა უთხრა, რომ გადადგეს, ან უნდა მოხსნა" - განაცხადა აასათიანმა(იფრონდა).

## რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს აფხაზეთის პრობლემის მოგვარება მიზანშეწონილად მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში მიაჩნია

„აფხაზეთის პრობლემის მოგვარება აუცილებლად მიმაჩნია მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში და ამის შესახებ, საკმაოდ მკაცრად და კატეგორიულად განუცხადა თავად ვლადისლავ არძინბას რუსეთის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის ყველა მონაწილემ" - აღნიშნა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივან რიბკინმა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ვაჟა ლორთქიფანიძესთან შეხვედრის დროს, სადაც რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების აქტუალური საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა იყო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების, ლტოლვილთა უპირობო და დროული დაბრუნების პრობლემები.

საქართველოს ელჩთან შეხვედრაზე აღინიშნა ისიც, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს „მშვიდობიანი კავკასიის" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის იდეის რეალიზაციას. ხაზი გაესვა, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების როლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა საქართველოს ელჩს აღუთქვა, რომ რუსეთის უშიშროების საბჭო გააქტიურებს თავის როლს ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. განსაკუთრებით აქტიური იქნება მისი მონაწილეობა ლტოლვილთა უპირობო და დროული დაბრუნების დაწყებაში.

ივან რიბკინმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოსთან დაკავშირებით მისი გამონათქვამების პრესაში არასწორმა ინტერპრეტირებამ საქართველოში გულისწყრომა და გაუგებრობა გამოიწვია. ამიტომ მან ვაჟა ლორთქიფანიძეს სთხოვა მისი გულწრფელი მოკრძალება გადაეცა ქართველი ხალხისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის. (მოამბე-ექს-პრესი)

## ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მოლარეებს ვალუტის ცნობას ასწავლიან

„3 თვეა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მოლარეებისთვის, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიწყო მუდმივმოქმედი კურსები, რომლის სწავლების გავლისა და გამოცდის გარეშე ლიცენზიები არ გაიცემა" - განაცხადა „მოამბე-ექს-პრესის" კორესპონდენტთან საუბარში ეროვნული ბანკის ფულადი ნიშნების ექსპერტმა, მამუკა ხუციშვილმა. მისი თქმით, ეს პირველ რიგში იმ ფაქტმა განაპირობა, რომ გამოცდაზე შემოწმებული ასი მოლარიდან ასივე ჩაიჭრა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა ყალბი დოლარის გავრცელებისაგან, ფაქტობრივად, დაუცველი იყო.

## აფხაზი კომუნისტები ყრილობისთვის ემზადებიან

სოხუმში გაიმართა ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც, როგორც აფხაზური რადიო იუწყება, აფხაზეთში მომავალი ყრილობისათვის მზადებას მიეძღვნა.

1997 წლის 30 ივლისს კომუნისტების მე-2 ყრილობა გაიმართება, სადაც პარტიის ახალ წესდებას და პროგრამას მიიღებენ - განაცხადა აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აფსნი პრესის" აფხაზთა კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ტიმოფეევმა. როგორც ვარაუდობენ, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კომუნისტები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. (მოამბე-ექს-პრესი)

## ამერიკელები საქართველოს ენერგეტიკით დაინტერესდნენ

დღეს, საქართველოში ჩამოდის აშშ-ის ენერგეტიკული ასოციაციის დელეგაცია, რომელსაც მაკლლორი უხელმძღვანელებს. დელეგაციის წევრები საქენერგოში ჩაატარებენ სემინარს თემაზე „საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსები".

ამერიკის ენერგეტიკული ასოციაციის წევრები საქართველოში ყოფნის დროს შეხვდებიან ამერიკის ელჩს საქართველოში, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობას, საქენერგოს გენერალურ დირექტორს, „საქენერგოგენერაციის" გენერალურ დირექტორს, სათბობ-ენერგეტიკული პროექტების მომამზადებელ და აღმასრულებელ სააგენტოს.

ამერიკის ენერგეტიკული ასოციაციის ვიზიტი საქართველოში 28 ივნისამდე გასტანს. (მოამბე-ექსპრესი)

## მიმოქცევაში შემოდის დოლარის ახალი კუპიურა

1997 წლის შემოდგომიდან მიმოქცევაში ახალი 50 დოლარიანი კუპიურა შემოვა, რომლის დიზაინი ახლახან გამოშვებულ 100 დოლარიანს წააგავს და მასაც მრავალი დამცავი ატრიბუტი გააჩნია. კუპიურაზე, წინა მხრიდან პრეზიდენტ გრანტის გამოსახულება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ხოლო მეორე მხარეს თეთრი სახლის საერთო ხედია გამოსახული. (მოამბე-ექსპრესი)

## სამეფო უბნის თეატრის გამოსახლების საკითხი დროებით გადაიდო

სამეფო უბნის თეატრის დღეისათვის დაგეგმილ გამოსახლებას, რომელიც 11 საათზე იყო დანიშნული, მხოლოდ ჟურნალისტები დაესწრნენ, თუ არ ჩავთვლით კრწანისის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს მიხეილ ოთარაშვილს, რომლის ვიზიტიც უფრო საინფორმაციო ხასიათს ატარებდა. არსად ჩანდნენ უჩინარი მოპასუხე და პოლიციაც. საარბიტრაჟო სასამართლომ საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე, დროებით, 26 ნოემბრამდე გადადო თეატრის გამოსახლება. (მოამბე-ექსპრესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე და ამერიკა

ვახტანგ გოგუაძე



„ჩვენ ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ჰარის მეკობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს. ვათვალიერებდით გასრესილი ბალღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწუხარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან:

ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?"

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტანტინეს აღშფოთება ამერიკული ფსევდოკულტურის, პოპკულტურის გამრყვნელი ზემოქმედების გამო:

„ამერიკულმა ჰოლივუდმა გამრყვნელი ზემოქმედება მოახდინა ამერიკულ ლიტერატურაზე და არა მარტო ამერიკულზე...

„ამერიკელი ბიზნესმენები მწერლობისა და კინოსაგან მოითხოვენ ამორალიზმის, მიზანტროპიის ჩანერგვას ახალი თაობის გულში".

კონსტანტინესთვის ქვეყნის სიდიადე კულტურის სიდიადით იზომება:

„ძველი საბერძნეთის სატახტო ქალაქი ათენი ვულვორსის ბილდინგის ფართობზე დაეტეოდა უთუოდ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ჰომეროსი და ფიდიასი, პლატონი და არისტოტელე ჩრდ. ამერიკაში არ დაბადებულან. შესაძლოა, არც ჩვენში მოიპოვებოდეს ისეთი სახლები, რომელნიც 206.000.000 ტონას იწონიან. სამაგიეროდ, არც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", არც ტარას შევჩენკოს პოემები და ზაქარია ფალიაშვილის ოპერები, არც ლევ ტოლსტოის რომანები დაწერილა ამერიკაში, რომელიც ოდნავ მაინც წააგავდეს მცხეთის სვეტიცხოველს, ვასილი ნეტარის ტაძარს, კიევის სოფიას, ან ეჩმიაძინის რომელიმე ტაძარს".

დიდი მწერალი იმიტომაა დიდი, რომ ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მოკვდავნი. თუ ვაღიარებთ დიდობას, ვიფიქროთ ისიც, ვუჯერებთ თუ არა მას. ჩვენ ხშირად ცარიელ სახელებს, ცარიელ პორტრეტებს ვცემთ თაყვანს, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს... ნანდღურძვს ზაშინვე გადავცვლით მოდურ-პოპულისტურ, მომგებიან პოლიტიკურ, ამწუთიერ პოზიციაზე. ამიტომ სჯობს მწერლის მართალი სიტყვა პოლიტიკოსების გუნდს.

კონსტანტინე პოლიტიკოსი არ გახლავთ, მაგრამ პოლიტიკას გრძნობს და სცნობს ისე, ბარე ორი რომ ვერ მიხვდებოდა ამ ქვეყანაზე. ყოველ შემთხვევაში, გულდასმით წავიკითხოთ მისი წერილები არამარტო ამერიკის შეერთებულ შტატებზე. მე მეათედიც არ მოვიტანე მისი ციტატების სახით. წაიკითხეთ ევროპის დიდ მწერლებზე დაწერილი ნარკვევები, რა კარგად იცის ევროპა, თაყვანსაცემი ევროპა მისი თანამედროვე სნეულებებით. გაეროს რეზოლუციების კითხვით ბევრს ვერაფერს გავიგებთ, თუ არ ვიცით ესა თუ ის ქვეყანა თავისი ფილოსოფიითა და ფსიქოლოგიით. ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობა სწორედ ზედაპირულ და მოფარფატე განათლებულობაშია. რად გინდა წიგნების კითხვა ან წერა, თუ ჭეშმარიტებასთან არ გახლოებს. სამწუხაროდ, ამ უნათლო განათლებამ მიგვიყვანა დაღუპვის პირას. არადა რამხელა პოტენციალია, რამხელა მადლია ქართულ კულტურაში, მაგრამ საქებარი რომ აქო, დასაწუნი რომ დაიწუნო – ამიტომ მოითხოვა განგებამ ადამიანისგან ნიჭი და აზრის პატიოსანი გარჯილობა.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №60.

კონსტანტინემ კარგად იცის ისტორიის ლოგიკა, ისტორიის ფილოსოფია: „მსოფლიო ისტორია იმის მოწმეა, რომ ყოველი ტირანი, ყოველი სახელმწიფო, რომელიც ოდესმე წაპოტინებია მსოფლიო ჰეგემონიას, უცილოდ დაღუპულა ბოლოს და ბოლოს". ეს სიტყვები სწორედ ამერიკის იმპერიის მიმართ ბრძანა მწერალმა – ფილოსოფოსმა. საბჭოთა იმპერია დაინგრა არაშემთხვევით. ამ იმპერიის იდეოლოგიური საფუძველი უკვე მოლპა და მოხდა ის, რაც, ალბათ, უნდა მომხდარიყო. ცხადია, არა ისე, როგორც სასურველი იყო ამ იმპერიის მანქანაში მყოფი ხალხებისათვის. მისი დანგრევის მთავარი ინიციატორი ამერიკა გახლდათ. მაგრამ გაგახსენებთ ცნობილ იგავს: ტყეში მგლები გაწყვიტეს, ირმები მომრავლდებაო. მაგრამ ირმები დაიხოცნენ. დაავადდნენ, წინააღმდეგობა რომ აღარ ჰქონდათ. ამერიკაში არიან პროგრესული ძალები, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ ამერიკის მომავლის გამო: რომ აშშ-ს ბუმერანგად დაუბრუნდება მსოფლიოს წინაშე ჩადენილი ქმედებანი. ნატოს გაფართოების მცდელობამ მსოფლიოს აჩვენა ამერიკის შეერთებული შტატების დაუფარავი აგრესიული მიზანი მსოფლიოზე ბატონობისა. აღარ არის მსოფლიოს, მშვიდობის საფრთხობელა საბჭოთა კავშირი. ამერიკა მის მიერ დანგრეულ, დამშეულ, გაუბედურებულ რუსეთს „დახმარებებით" ჰკვებავს, ძმობას ეფიცება და არწმუნებს, იარაღის ლულას თუ საფეთქელთან ახლოს მიუტანს, ეს კარგია რუსეთისათვის. ამერიკის სერიოზული მოაზროვნე ძალები იმასაც აღნიშნავენ, თუ როგორ გამოალევიძეს მძინარე დათვი. ამერიკელებმა დაკარგეს საუკუნის საიდუმლოება – შეენარჩუნებინათ დემოკრატიის მთესველის იმიჯი. მსოფლიოზე გაბატონების ამ დაუფარავ აგრესიას მსოფლიოსაგან რომ სიძულვილი მოჰყვებოდა, უნდა სცოდნოდათ. ილვიძებს აღმოსავლეთი. ილვიძებს ევროპაც. იმპერიების დრო მთავრდება. მონობის ფსიქოლოგიის ადამიანები, ნაცვლად თავისუფლებისა, ახალ მონათმფლობელს ეძებენ. უნდა ვეძებოთ სტრატეგიული პარტნიორი, ვისი ინტერესები ეთანხმება ჩვენს ინტერესებს. ბავშვების სატყუარი ტკბილდაპირებანი, ქვეყანას რომ გაყიდულ ხალიჩასავით გამოგაცლის ფეხქვეშ, უნდა დამთავრდეს.

კონსტანტინეს თუ დავუჯერებთ, მივხვდებით, რომ ტყუილად ველოდებით კეთილ ძია სემს. ჩვენ არავინ გადაგვარჩენს ჩვენი თავის გარდა. მაგრამ თავი კი უნდა თავ-ობდეს. თუ მტერი და მოყვარე არ გავარჩიეთ, ერი დაილუპება. დავუჯეროთ კონსტანტინეს.

ჩვენ ვიყოთ ღმერთთან!

---

• დღიურები

რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

**15/VII — 31/VII, 93 წ.**

27 ივლისს შევარდნაძის თანხმობით ვ.გოგუაძემ ხელი მოაწერა რუსეთთან და აფხაზეთთან შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე".

სინამდვილეში, ჩემი ფიქრით, ეს არის კაპიტულაცია.

შეთანხმებაში პირდაპირ წერია: „საქართველოს შეიარაღებული ძალები 10–15 დღეში დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას"...

თითქოსდა, აფხაზეთი სხვა სახელმწიფოა. ჩვენ კი ოკუპანტები ვიყავით.

არც ერთხელ არ წამოცდა შევარდნაძეს სიმართლე, რომ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს ვიცავდით აფსუა გადამთიელთაგან.

მანამდე, 3–4 დღით ადრე მწერალთა კავშირში შევარდნაძე მოვიდა.

ჩემი კოლეგების მლიქვნელური სიტყვების ფონზე საკმაოდ მწვავედ გავაკრიტიკე. არ მოაწეროთ-მეთქი ხელი ამ „შეთანხმებას", მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი". გაძლევთ პირობას, რომ სოხუმში თოფი აღარ გავარდებაო, შევარდნაძემ. აფხაზეთის საქმეს ჩემს თავზე ვიღებო.

თუ სამაჩაბლოს ვარიანტი განმეორდა (საქმე იქითკენ მიდის), საბოლოოდ ვირწმუნებ, რომ ჩვენი პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვა, მცდარია.

28 ივლისს „თბილისს" ვაახლე წერილი იმის თაობაზე, რომ არ ვეთანხმები „შეთანხმებას", მაგრამ არ დაბეჭდეს.

ჩანს, დაბრუნდა კომუნისტური წყობა, მხოლოდ იმას ბეჭდავენ, რაც „ცკ-ს მდივანს" ესიამოვნება.

30 ივლისს „ლიტერატურულ საქართველოში", როგორც იქნა, დაბეჭდეს ჩემი ნოველა „ძიგლი, ძიგლი, მამალო".

**1/VIII — 29/VIII, 93 წ.**

საქართველოში საშინელი შიმშილი მძვინვარებს.

დღითიდღე ვრწმუნდები, რომ ეს დაგეგმილი შიმშილია.

საქართველოს დაჩოქება (ესენგეში ჩოქით შესაყვანად) გრძელდება.

ჩემი წერილი რუსეთ-არძინბასთან კაპიტულანტური შეთანხმების დადების შესახებ არ დაბეჭდეს: „თბილისმა", „ივერია-ექსპრესმა", „7 დღემ". სადაც კი ხელი მიმწვდება, გამოვთქვამ პროტესტს, მაგრამ ვის ესმის. ვგრძნობ, რომ ვკარგავთ აფხაზეთს.

25 აგვისტოს მწერალთა კავშირში გვესტუმრა ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი.

გაგვაცნო გეგმა-მარიამობის დღესასწაულის-შერიგების დღის აღნიშვნისა 28 აგვისტოს:

ილოცებს ილია II და მერე სიტყვას იტყვის სახელმწიფოს მეთაური.

ეს მკვდარი ღონისძიება იქნება-მეთქი. ორსაათიანი ლიტანია ხალხს მოსწყინდება და შინ წავლენ. შევარდნაძესაც აღარავინ მოუსმენს. იგი ხომ თავი „აზრებს" დღეში სამჯერ სატელევიზიო გამოსვლით გამოთქვამს – მეთქი. ვინ მისმინა! ჩემს წინააღმდეგ გამოიყვანეს ლიტერატორი ქალი – კივილით იცავდა ჩემგან შევარდნაძეს.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-60.

28-ში მწერალთა კავშირის ავტობუსით რ.ჭეიშვილი, ო.ჭელიძე, ვ.ჯავახაძე, ი.ბაზაძე, ნ.გრიგალაშვილი, ლ.სანიკიძე, ა.სალუქვაძე და მე ქუთაისს გავემგზავრეთ.

როგორც ვიწინასწარმეტყველე, ისე გამართლდა ყველაფერი.

ყალბი დაპირებებით თავმობეზრებული ხალხი მალე დაიშალა და წავიდ-წამოვიდა. მე და ლევანი „ამალას" ახლოს არ გავკარებივართ.

ჩემთვის რომ დაეჯერებინა შაშიაშვილს – გამოეყვანა სამიოდე კაცი, შვილმკვდარი დედა, ახალგაზრდა, უპირველესად ისინი, ვისაც მორალური უფლება აქვს შერიგებაზე ილაპარაკოს, ეს დღე, მართლაც, ეროვნული შერიგების დღე იქნებოდა.

28 აგვისტოს, დილით, 5 საათზე ლოთი ქობალია 300 კაციანი რაზმით სენაკში და აბაშაში შევიდა. დაამხეს იქ შევარდნაძის ხელისუფლება და სამტრედია-ფოთის ასაღებად ემზადებიან.

ვაი, ჩვენს თავს!

**30/VIII — 11/IX, 93 წ.**

ლოთი ქობალიამ (ზვიადის განკარგულებით) მთელი სამეგრელო დაიკავა და 6 სექტემბერს გალში შევიდა.

ზუგდიდში ჩატარდა სესია. ჩამოვიდა პრემიერ-მინისტრი გუგუშვილი და შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ცხენისწყალთან კბილებამდე შეიარაღებული ქართველები ერთმანეთის პირისპირ დგანან.

საქართველო ფაქტიურად ორ ცალკე სახელმწიფოდ გაიყო.

სანამ იქნება ასე?

შევარდნაძის მხარე გაჰყვირის რადიო-ტელევიზიაში: მეგრელებმა გზა გადაკეტეს და თბილისელთა შიმშილით დახოცვა უნდათო.

სამეგრელოს მთავრობა ამტკიცებს-სიცრუეა, გზა გადაკეტილი არ არის. ჩვენ მხოლოდ სამეგრელოს მარბიელ შევარდნაძის შეიარაღებულ ლაშქარს არ შემოვუშვებთ სამეგრელოში. ეს არის და ესო.

ქობულეთში დაიწყო მოლაპარაკება ექსპრეზიდენტის წარმომადგენელსა და შევარდნაძის წარმომადგენლებს შორის ასლან აბაშიძის შუამდგომლობით.

ნუთუ ზვიადმა და შევარდნაძემ არ იციან, რომ სამოქალაქო ომის დაწყება ორივესთვის საბოლოოდ დამთავრდება?

რუსმა მარიონეტები საქართველოს ესენგეში შესაყვანად გამოგზავნა. ამავე მიზნით დაამხო რუსმა აზერბაიჯანში ელჩიბეის ხელისუფლება და იქაც ყოფილი ცეკას მდივანი ალიევი დანიშნა.

ალიევმა უკვე განაცხადა, მალე აზერბაიჯანი ესენგეში შევაო. ამასვე მალე გააკეთებსო შევარდნაძე.

ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმის სხდომაზე მე და გურამ შარაძემ სასტიკად გავაკრიტიკეთ საქართველოს ხელისუფლების გამყიდველური პოლიტიკა.

კიდევ ერთი საწყენი საქმე. უეფას თასის გათამაშებიდან გამოაგდეს თბილისის „დინამო" და ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს, მსაჯს ქრთამი შეაძლიესო.

ავი ბედი გვდევს, მოსვენებას არ გვაძლევს!

რატომ არ ცხადდება საყოველთაო მობილიზაცია? რით ავხსნათ საქართველოს ტელევიზიის უმოქმედობა მტრისადმი ეროვნული ზიზღის გაღვივების და რუსეთთან ომის საერთო-საყოველთაო ომად მიჩნევის საქმეში?

**12/IX — 28/IX**

27 სექტემბერს სოჩის შეთანხმებიდან (27/VII) ზუსტად ორი თვის თავზე რუსმა, ჩეჩენმა და აფსუა მკვლელებმა სოხუმი წაგვართვეს.

სისხლისაგან დაცლილმა ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია.

რით ვანუგეშო ჩემი ტანჯული ხალხი?!

რუსმა დაგვსაჯა თავისუფლების სურვილისათვის.

საქართველოს წაგლიჯა იმპერიამ საუკეთესო ისტორიული ნაწილი: ჯერ სამაჩაბლო, მერე აფხაზეთი.

დაგვრჩა 45 ათასი კვ.კმ-67-დან.

ესეც შევარდნაძის ბრძნული პოლიტიკა.

მსოფლიომ ყური დაიყრუა ჩვენს უბედურებაზე.

ჩემი შვილი 15 დღეა იბრძვის აფხაზეთში. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა.

თუმცა ჩემი უბედურება რა მოსატანია იმასთან, რაც გვჭირს.

შევარდნაძემ 26 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა ელცინს, საქართველო თანახმაა სნგ-ში შემოვიდესო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რუსმა დამსჯელობითი ექსპედიცია არ შეაჩერა.

52%-იდან (შვიდასი ათასამდე) არცერთი ქართველი აღარ დარჩება აფხაზეთში.

მტერმა სისხლის ნიაღვარი დააყენა.

გუშინ დილით (27/IX) ველაპარაკე ვახტანგ გოგუაძეს, იმედის წყალი გადაწურული არ ჰქონდა. ორ საათზე კი სოხუმი დაეცა.

ახლა ნაძირალა პოლიტიკოსები ჩიფჩიფებენ: მეგრელებმა გვიღალატეს, თორემ ომს მოვიგებდითო.

ჯერ ერთი, ლოთი ქობალია, ალბათ, ვერ გადაუვიდა რუსის მიერ გამაგრებულ კოდორზე და მეორე, ვის მოვიგებდით ომს – რუსს?

კიდევ კარგი, კოდორს გამოლმა დარჩენილი ქართველთა ჯარის მცირე ნაწილიც რომ არ მიახოცეთ რუსის გამძვინვარებულ ჯარს.

შევარდნაძის ბოლო მიმართვა ქართველი ერისადმი ცრემლით და ტკივილითაა სავსე.

ჭეშმარიტად ტრაგიკული პიროვნებაა.

მეცოდება.

მაგრამ „სხვა ვინ არ არის ცოდო..."

გაგრძელება საშაბათო ნომერში

# პენსია სახელმწიფოსაგან მოწყალება კი არაა, არამედ დამსახურებული შრომის ღვაწლი

*ინტერვიუ საქართველოს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, ეკონ.მეცნ. კანდიდატ, დოცენტ* ***სოლიკო პავლიაშვილთან***

*– სოციალური დაზღვევის წარმოდგენილი პროექტი უდავოდ რეფორმატორულია და მისი გაცნობა ადასტურებს, რომ იგი სულაც არაა დასავლეთის უბრალო გადამღერება, გათვალისწინებულია საქართველოს სპეციფიკაც, ე.ი. სოციალური დაზღვევის პირველი ქართული მოდელია ჩვენს სინამდვილეში და ვუსურვებთ „მწვანე შუქს“ პარლამენტში, სადაც გავლა, როგორც ჩანს, შემოდგომამდე არ ესწრება. მანამდე კი უფრო კონკრეტულად რით ვხელმძღვანელობთ, ციფრების ენით რომ ვთქვათ, წელს რა პერსპექტივა გველის სოცდაზღვევის შემოსავლების მხრივ?*

– მიმდინარე წელს დაგეგმილია ფონდის მთლიანი შემოსავლები – 107 მილიონის ოდენობით, გაწეული ხარჯი – 140 მილიონი, განსაზღვრულია დოტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 33 მილიონი (აქ შედის პენსიონერებისათვის გადარიცხული ელექტროენერგიის ფული, სულზე 1 ლ 3 თეთრი). მიმდინარე წლის 4 თვეში ჩვენი ძალებით ამოღებულია 25 მილიონი ანუ გეგმა შესრულებულია 88,7%-ით. ეს არცთუ ისე ურიგო მაჩვენებელია, თუ შევადარებთ სხვა სამსახურების მიერ ამოღებულ თანხებს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სხვასთან შედარებით ნაკლები (180 კაცი) რაოდენობის მუშაკი ემსახურება თანხების ამოღებას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სუსტია ამჟამინდელი ფონდის საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფა, რაც შემოიფარგლება მინისტრთა კაბინეტის დებულებით და 1995 წელს პრეზიდენტის №25 ბრძანებულებით.

მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა დავინახოთ დადებითი ტენდენციები რესპუბლიკაში, პენსიების დაფინანსებისა და გაცემის საქმეში. ადრე თუ 3-4 თვეს შეადგენდა მისი გაცემის დავალიანება, დღეს თვენახევარი, 2 თვემდეა შემცირებული. თუმცა დავალიანების გარეშე მივდივართ: თბილისში, ბოლნისში, მცხეთაში და სხვაგან. ხოლო პრეზიდენტის 11 მაისის ბრძანების თანახმად, 1 ივლისისათვის უნდა დაიფაროს გასული 5 თვის პენსიების დავალიანება.

*– თქვენ ზემოთ ახსენეთ სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობა და არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ჩვენში კვლავ მძლავრობს საბჭოთა ადამიანის მენტალიტეტი. ბუნებრივია, ეს შეეხება მეტნაკლებად ყველა ფენას, მათ შორის ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებსაც და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსაც: ამიტომაც დიდი ყამირის გატეხვა მოუწევს რეფორმატორული გზით მავალ სოციალისტური დაზღვევის სამსახურს, მისი იდეოლოგიის დამკვიდრებას. აქვე მახსენდება ერთი იუმორისტული პასაჟი ძველი ფრანგული ფილმიდან, რომელშიც ცნობილი ბელმონდოს გმირი, როცა მას სოცდაზღვევის აგენტი ეწვევა, ათასნაირი მანიპულაციებით ცდილობს დაარწმუნოს ეს უკანასკნელი თავის ინვალიდობაში, რათა მიიღოს საკმაოდ სოლიდური დახმარება. ჩვენ, ცხადია, ჯერჯერობით, ძალიან შორსა ვართ იმ სოციალური სიკეთისაგან, რასაც საზოგადოების ყველა წევრი, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, უნდა ელოდეს ამ სტრუქტურისაგან.*

– მართალს ბრძანებთ. ფონდი დღეს სალაროს როლშია, რაც შემოდის, ის გადის. იმედია, მალე დადგება დრო, როცა ფონდი თვითზრდის მიზნით გააკეთებს ჭარბი თანხების აკუმულირებას, რაც არის შიდა ინვესტირების წყარო, რაც გაზრდის შესაბამისად პენსიებს და სხვა სახის დახმარებებს.

დღეს კი, როგორც უკვე დავინახეთ, რაოდენ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული სოცდაზღვევის სახსრების მოზიდვა და ესეც კი, ვერ აკმაყოფილებს იმ მიზერულ პენსიებს, რასაც ჩვენი მოსახლეობა ღებულობს. აქედან გამომდინარე, ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობას განსაზღვრავს რეფორმების წარმატებით ჩატარება. ჩვენი მოქალაქეების ხსნა რეფორმებშია.

ამასთან დაკავშირებით გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მეწარმის ფსიქოლოგიის გარდაქმნა. სამწუხაროდ, ჩვენში არაიშვიათად შეინიშნება ორიენტაცია, მათი მხრიდან, რათა ჩამოეწეროთ სოცდაზღვევის დავალიანებები. სწორედ, აქ გვესაჭიროება პრესის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა, რათა ერთობლივი ძალისხმევით გადავჭრათ ეს სატკივარი. მეწარმეს უნდა ეამაყებოდეს, რომ იხდის სოცდაზღვევის სავალდებულო შენატანებს, ვინაიდან მასში ჩადებულია თაობათა შორის სოლიდარობის იდეა. რასაც გადაიხდი, იმას მიიღებ. დღეს თავის არიდება გადასახადებისაგან მათვე დაუბრუნდებათ ბუმერანგივით, რაც იქნება სტიმულის მიმცემი დამსაქმებლებისათვის და გააუმჯობესებს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას.

სუბიექტური ფაქტორები კი არ უნდა განაპირობებდნენ, როგორც დღესაა, ჩვენი სფეროს ფუნქციონირებას, არამედ განმსაზღვრელი უნდა გახდეს სამართლებრივი ბაზა. რა თქმა უნდა, გაიზრდება და რეალურ მნიშვნელობას შეიძენს სოცდაზღვევის აგენტის პრესტიჟი, რომელიც თქვენი მაგალითიდანაც ჩანს, თუ რა მნიშვნელოვან „საშიშარ“ ფიგურას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში. სოციალური დაზღვევის კანონის მიღება ხელს შეუწყობს ამ პროცესის დარეგულირებას და ჩვენი სამსახურიც იქნება ცივილიზირებული.

საუბარი მიჰყავდა
**გიორგი ბალახაძეს**

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №60.

● *წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“*

# ჩინოვნიკური ინტრიგები

## ფილიპ ბობკოვი

სამოციანი წლების ბოლოს დასავლეთის პრესაში პოტსდამის შეთანხმების დისკრედიტაციის კამპანია დაიწყო. ხელახლა ალაპარაკდნენ ოდერ-ნეისეს მიმართულებით საზღვრების გადასინჯვის თაობაზე. დიპლომატიურ წრეებს კარგად ესმოდათ, რა წარმოუდგენელ შედეგებთან მიგვიყვანდა ყოველივე ეს და საპასუხო ნაბიჯებს დგამდნენ, რაც დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მეშვეობით ხორციელდებოდა.

ვნებათაღელვის აზვირთებას დიდად უწყობდა ხელს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სწორედ მაშინ დაიბადა საზღვარგარეთის პრესაზე ზემოქმედების იდეა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი განყოფილება. ვასრულებდით რა ჩვენს ფუნქციას, გავახშირეთ საზღვარგარეთელ ჟურნალისტებთან შეხვედრები. საჭირო იყო მათი დარწმუნება იმაში, თუ რამდენად დამღუპველი შეიძლება იყოს ომისშემდგომი საზღვრების გადახედვის იდეა. ჟურნალისტები ხალისით მიდიოდნენ კონტაქტზე, იმ იმედით, რომ მათთვის სასურველ ინფორმაციას მიიღებდნენ. ჩვენ ეს ხელს გვაძლევდა. ვაძლევდით მონაცემებს, რომელთა მიღებაც ადრე არ შეეძლოთ. ამას ფრთხილად ვაკეთებდით, მივანიშნებდით, რომ მათ ვენდობოდით და საპასუხო თავაზიანობასაც ველოდით. საზღვრების გადახედვის დაუშვებლობის თემა ცენტრალური იყო: სადაც კი არ უნდა შევხვედროდით ჟურნალისტებს, ასე თუ ისე, მაინც ამოტივტივდებოდა ხოლმე ეს საკითხი.

შედეგებმაც არ დააყოვნა. დასავლეთის პრესაში გაისმა ხმები, რომლებიც ომისშემდგომი შეთანხმებების გადასინჯვის წინააღმდეგ იყო მიმართული. თანაც ჟურნალისტთა შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც არა უბრალოდ იზიარებდა ჩვენს აზრს, არამედ თვითონ მოინდომა საკითხში გარკვევა და მოისურვა პატიოსნად გაეცნო ყოველივე მკითხველთათვის. ასე მომზადდა ნიადაგი 1970 წლის ისტორიული შეთანხმებისათვის, რომელმაც დაადასტურა ომისშემდგომი საზღვრების ხელშეუხებლობა.

ერთხელ, ვროცლავში ვიდექი პაპის, პიუს XXII-ის ძეგლთან, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მამის მიერ პოლონეთის დასავლეთი საზღვრების ამგვარად მოწყობის მხარდაჭერისათვის მადლობის ნიშნად იქნა აგებული, თავში ამგვარი აზრი დამებადა: იქნებ ეს ძეგლი ჩემი მეგობრების ღვაწლის დასაფასებლად არის დადგმული, რომლებმაც სამოციან წლებში ბევრი სცადეს, რათა პოტსდამის შეთანხმება კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო... ხანდახან ფანტაზიაც კარგია.

მინდა გიამბოთ იმ წლების კიდევ ერთ ეპიზოდზე. მართალია, პირდაპირი კავშირი არა აქვს თემასთან, მაგრამ, უბრალოდ, დროის მიხედვით ემთხვევა აღწერილ მოვლენებს. ჩემი აზრით, საინტერესოა.

1961 წლის 12 აპრილი. იური გაგარინის გაფრენა კოსმოსში. მთელი ქვეყანა ღელავს, ბობოქრობს. მოსკოვში ახალგაზრდების სტიქიური დემონსტრაციაა. ხანშიშესულებსაც არ უდგებათ ოჯახში გული. ხუმრობა საქმეა? – ადამიანი კოსმოსშია, დედამიწას შემოუფრინა გარშემო.

ბუნებრივია სურვილი, გაიგო, ვინ არის იგი. საბჭოთა დაწესებულებები ჟურნალისტთა ალყაშია მოქცეული. საგარეო საქმეთა სამინისტროს, ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება მათ ვერაფრით ვერ ეხმარება, რამეთუ მათ, ისევე, როგორც ბევრ სხვას, მხოლოდ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემები გააჩნიათ, რომელიც საკდესის არხებით არის მიღებული. მოვლენის პროპაგანდისტული მხარე ნამდვილად არ იყო გათვალისწინებული.

ჩემი რისკის ფასად მივდივარ სამხედრო კონტრდაზვერვის გენერალ გუსკოვთან. ვუხსნი სიტუაციას. მან გამიგო და მომცა პატარა (სამი ოთხზე) ფოტოსურათი, სადაც ი.გაგარინია გამოსახული უფროსი ლეიტენანტის სამხრეებით.

– შეგიძლია ამ ფოტოსურათის გამოყენება, მაგრამ თუ უფროსობის ყურადღება მიიქცია, იცოდე, მე ეს სურათი შენთვის არ მომიცია. გაგარინს მაიორის წოდება მიანიჭეს და მიღებულია ბრძანება, მხოლოდ ახალი ფორმით გავიდეს სურათები პრესაში.

რამდენიმე საათში შემოიფრინა უფროსი ლეიტენანტი ი.გაგარინის სურათმა მსოფლიო, ხოლო კითხვა, თუ როგორ მოხვდა იგი უცხოელი ჟურნალისტების ხელში, პასუხის გარეშე რჩებოდა. ვერავინ გაიგო, რომ საზღვარგარეთელ კორესპონდენტებს ფოტოსურათი მე მივეცი.

მოგვიანებით მქონდა შემთხვევა, ეს ყველაფერი იური ალექსის ძისათვის მომეყოლა. მე არ მქონდა მასთან ახლო ნაცნობობა, თუმცა, დღემდე ვამაყობ მისი საჩუქრით – ინდოეთის ოკეანის რომელიღაც კუნძულიდან ჩამოტანილი დანით. ეს მან მაჩუქა სტუდენტთა და ახალგაზრდობის ჰელსინკის ფესტივალის სამახსოვროდ.

ამ ფესტივალზე ჩვენ მთელი დღე ერთად დავყავით. გაგარინი თექვსმეტჯერ გამოვიდა სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე ამ ფესტივალზე. პატივცემული მეცნიერებიდან დაწყებული ბალ-მასკარადით დამთავრებული, სადაც მის ფესტივალი აირჩიეს. და იგი ყოველთვის ახერხებდა იმ სიტყვების მოძებნას, რომელიც მოცემული აუდიტორიისათვის იყო ახლობელი. ეს არ არის მხოლოდ ტალანტი. ეს არის ღვთიური ნიჭი, როგორც თვით გაგარინი, სერგეი პავლეს ძე კოროლიოვის მიერ ამოცნობილი.

მახსოვს, ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ მივდივართ პრეს-კონფერენციაზე. წინ – დაცვის მანქანები, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი სერგეი პავლოვი და მე, ჩვენს უკან – გაგარინის მანქანა. სერგეის აზრად მოუვიდა საინფორმაციო ცენტრში შესვლა. დრო ჯერ კიდევ არის. გაგარინი დარბაზში მიიწვიეს. მოაწყდა უამრავი ხალხი. იურიმ ვერ მოასწრო იმის გაგება, რომ მის წინაშე უცხოელი ჟურნალისტები კი არ არიან, არამედ შემთხვევით შეკრებილი ხალხი. მან თავისი სიტყვა ისე დაიწყო, თითქოს პრეს-კონფერენციაზე გამოდიოდა.

მე მივაწოდე ბარათი, რომელიც აუწყებდა იმის შესახებ, თუ რა სახის აუდიტორიაა აქ შეკრებილი. მან წაიკითხა და საუბრის მიმართულება შეუმჩნევლად შეცვალა, თანაც სწორედ ისეთნაირად, როგორც ამ აუდიტორიას შეეფერებოდა. არ შეიძლება არ აღფრთოვანდე ასეთი ადამიანით. მართალია, ბოლოს მან გვთხოვა, რომ აღარ ჩაგვეყენებინა ასეთ მძიმე მდგომარეობაში.

იმდროინდელი მოვლენებიდან ერთი ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ტაშკენტში ერთმანეთს ხვდებიან ინდოეთისა და პაკისტანის პრეზიდენტები – ბახადურ შასტრი და აიუბ ხანომი. მათ შორის შუამავლის როლს ასრულებდა ა.ნ.კოსიგინი. იმ დროს ამ ორ ქვეყანას შორის ომის საშიშროება არსებობდა.

თანამშრომელთა ჯგუფი, რომელთაც ჟურნალისტებთან კონტაქტი ჰქონდათ, გავიდა შეხვედრის ადგილზე საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად. შეხვედრის გაშუქებას ხელმძღვანელობდა ბრძენი დიპლომატი ლ.მ.ზამიატინი.

პირველმა დღემ დიდ დაძაბულობაში ჩაიარა. იგი უფრო მძაფრდება. ეჭვგარეშეა, ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ინდოელ და პაკისტანელ ჟურნალისტებს მიუძღვით. გადავწყვიტე, ისინი ერთმანეთისათვის მეგობრულ ვახშამზე შემეხვედრებინა, რათა გულახდილად ელაპარაკათ. უზბეკების სტუმართმოყვარეობა დიდად დაგვეხმარა. უზბეკმა მეგობრებმა ფლავი მოამზადეს. მერედა როგორი? გულუხვი და გემრიელი დელიკატესები მოგვართვეს.

ყინული გადნა. ფონი შეიცვალა. შერბილდა პრესაში გამოქვეყნებული მასალები. ამან დადებითად იმოქმედა შეხვედრის შედეგებზე. შექების სიტყვებზე ძუნწმა კოსიგინმა ამჯერად თავი ვერ შეიკავა და ჩვენს თანამშრომლებს მადლობა გამოუცხადა იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მას აღმოუჩინეს.

* * *

1961 წელს შელეპინმა შემომთავაზა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა. ამ სამსახურს მაშინ ო.მ.გრიბანოვი ხელმძღვანელობდა – მტკიცე პროფესიონალი, შრომისმოყვარე და ზარმაცების მოძულე კაცი. კონტრდაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნამ ცოტა რამ მომცა. სწორედ ამ დროს დააკავეს რამდენიმე უცხოელი აგენტი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტურისტების ნიღბისქვეშ გამოაგზავნეს, თანაც უცხოეთის საელჩოების „მფარველობის ქვეშ“. იმავე დროს ამოტივტივდა პენკოვსკის მხილებასთან დაკავშირებული საქმე. ეს იყო ინგლისისა და ამერიკის დაზვერვის ძალიან მაღალი რანგის აგენტის პირველი მხილება. პოლკოვნიკი პენკოვსკი, საბჭოთა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი, თავის საქმეს ასრულებდა, იყო რა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მაღალი თანამდებობის სამხედრო პირებთან, სახელმწიფო აპარატის თანამშრომლებთან. იგი გადაიბირეს ინგლისელებმა. გამოიყენეს მისთვის დამახასიათებელი კარიერიზმი და ანგარების სიყვარული. პენკოვსკი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას სამსახურით, თვლიდა, რომ მის პიროვნებას ჯეროვნად არ აფასებდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია ორდინარული ადამიანისათვის, რომელიც თავს გენიოსად თვლის. თავისი ქვეყნის ამბიციების გამო მწარედ უხდიდა ყველას სამაგიეროს. არ დავიწყებ ახლა კონკრეტული ეპიზოდების მოყვანას, მხოლოდ ერთს ვიტყვი, კონტრდაზვერვაში მუშაობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი ცნობიერების ჰორიზონტი, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა საშუალება მომცა ამ სახელმწიფოების პოლიტიკა უკეთესად გამეგო და მუშაობაც ეფექტური გახდა.

1961 წლის ოქტომბერში შელეპინი დაინიშნა სკკპ ცკ-ს მდივნად, ხოლო სულ მალე, შეთავსებით დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამგვარად, მან თავის ხელში უდიდესი ძალაუფლება მოაქცია.

ამან ბრეჟნევის გარემოცვაში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. დაიწყო ლაპარაკი, რომ ვიღაცა მხარს უჭერს მას, ხოლო ვიღაც კი – ბრეჟნევს. მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებებისა, მისი ენერგია და ერუდიცია ქვეყანას ბევრ სარგებლობას მოუტანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №58-60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები ცალკეულ პიროვნებათა ამბიციებს არ უნდა შეეწიროს

ფინანსთა სამინისტროს [...]ინფორმაციით, მინისტრმა მიხ[...]ელ ჭკუასელმა მიიღო თურქე[...]თის საგანგებო და სრულუ[...]ფლებიანი ელჩი საქართველო[...]ში უფუქ თეფფიქ ოქიაუზი და თურქეთის ავიაკომპანია „თურ[...]ქიშ ეირლაინზის" დირექტორი [...]ქირაი გუმუშჩუ ოღლუ. ელჩმა ავიაკომპანიის დირექტორატის სახელით პრეტენზია გამოთქვა საქართველოს საგადასახადო სამსახურისა და საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიმართ. ელჩის განცხადებით, დაფიქ[...]სირებულია საგადასახადო ინ[...]სპექციის ინსპექტორთა მიერ ავიაკომპანიის საქმიანობის ზედ[...]მეტი კონტროლი. მათი პრეტენზიები საფუძველს მოკლებულია და ავიაკომპანიის სრულყოფილი მუშაობისთვის ს[...]პეციალურ წინააღმდეგობას ქმ[...]ნის. დასახელდა საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ [...]ჭანკოტაძის და ავიაკომპანია „[...]ორბის" გენერალური დირექტორის ვასილ ჯამბაზაშვილის გვარებიც. თურქეთის ელჩის თქმით, თურქეთსა და საქართველოს შორის საქმიანი ურთიერთობები ცალკეულ პიროვნებათა ამბიციებს არ უნდა შეეწიროს.

ფინანსთა მინისტრმა სტუმ[...]რებს საკითხის დეტალური შესწავლა და ყოველმხრივ დახმარება აღუთქვა. (პრემიერი)

## გაიხსნა მაღაზია „ფარვანი", რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით ივაჭრებს

გუშინ თბილისში, დადი[...]ანის ქუჩა №4-ში, თბილისის მერიის, ქართული ბანკის და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მმართველობის ერთობლივი ძალისხმევით გაიხსნა მაღაზია „ფარვანი", სადაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები 10-15%-ის ფასდაკლებით გაიყიდება. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა გოგლა ბარამიძემ განაცხადა, რომ მაღაზია ყოველგვარი შუამავლების გარეშე მომარაგდება ადგილობრივი პროდუქტებით, რაც საშუალებას მისცემს მაღაზიას იმუშაოს სტაბილურად დადგენილი ფასებით. (პრემიერი)

## თბილისში 500-მდე მიუსაფარი ბავშვია აღრიცხული

სკოლამდელი აღზრდის, საშუალო სკოლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის [...]ხეილ მინდაძის თქმით, თბილისში აღრიცხულია 500-მდე მიუსაფარი ბავშვი. განათლების სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად მიზნად ისახავს შექმნას მათთვის საკანონმდებლო ბაზა და სპეციალური სახლები, სადაც მოხდება ბავშვების აღზრდა-პატრონობა და განათლების მიცემა. ამ ტიპის სახლების ტრადიციად დამკვიდრება სასურველი არ იქნება. (პრემიერი)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება 4 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. II მ-ში, ჩეხური პროექტის, ფასი 15000$ ტელ. 99-57-64

იყიდება 3 ოთახიანი ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან ახლოს. ფასი 8000 დოლარი. ტელ. 60-75-18

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა. ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის სუფთა ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე დიდი სარდაფით ტელეფონით. საშუალო რემონტით. საწყისი ფასი 15500$ ტელ. 30-45-96

იყიდება 2 ოთახიანი არატიპიური 80 კვმ გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. არის მომატების პერსპექტივა და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ტელ. 38-35-34 (დილით ან საღამოს საათებში)

იყიდება ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა ქალაქის ცენტრში ტელეფონით, მანქანის სადგომით და სარდაფით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

იყიდება სასწრაფოდ 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 36 კვმ მიშენებით მე-2 სართულზე. საერთო ფართი 115 კვმ, ნახევრადგარემონტებული, ფასი 35000 დოლარი. ტელ. 37-30-64

იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში მე-3 მ/რ-ში, თუხარელის პროექტი, 14 სართულიანის მე-5 სართულზე. კარ-ფანჯრები არა აქვს. ფასი საწყისი 4000$ ტელ. 95-30-47

იყიდება ერთოთახიანი პრივატიზებული სუფთა ბინა 16 კვმ ფართით. ვაჟა-ფშაველაზე, კომაროვის სკოლის ახლოს, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართ. იზოლირებული, ტელეფონით, მუდმივი დენით, არის მიშენების ფართიც. ფასი 8000$ ტელ. 67-64-67 იკითხეთ ბაჩო ან თემური

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა გორგასლის №11-ში. საერთო ფართი 34 კვმ, I სართული, „ბალნეოლოგიურის" გვერდით, იტალიურ ეზოში. ტელ. 72-47-48 ზურიკო

იყიდება რუსთაველზე 1 ოთახიანი პრივატიზებული ბინა 14 კვმ, სამზარეულო საერთოა მხოლოდ ერთი მეზობლისთვის, საპირფარეშო საკუთარი, არის აბაზანის გაკეთების საშუალება. ბინას აქვს დიდი აივანი, ფასი 4500$ ტელ. 72-47-48 ალიკა ან ნატაშა

იყიდება ან იცვლება 2 ოთახიანი ბინა, დიდი დიღმის III მ/რ (13X3) ტელ. 38-08-05

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას II კვარტალში დიდი მიშენებით. რკინის კარით, გისოსებით, ატმორით. საერთო ფართი 100 კვმ მიშენების კედლები ამოყვანილია. IV სართულიანის მე-2 სართულზე. ფასი 17000 დოლარი. ტელ. 31-08-42; 93-57-84

იყიდება ოროთახიანი მაღალჭერიანი ბინა (18+26) ქალაქის ცენტრში, ბინა იტალიური ტიპისაა. აქვს სარდაფი, ტელეფონი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-73-68

ვყიდი ოროთახნახევრიან ბინას, მეტრო „ისანთან" ქეთევან წამებულის ქ.№67 ბ. №64, საწყისი ფასი 10000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

ვყიდი კიევში სამოთახიან ბინას დარნიცის რაიონში. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 74-60-58 თენგიზი; 96-31-74 (18 სთ-მდე);

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა გადაკეთებული ოთახნახევრიანად ვარკეთილში მეტროსთან ახლოს 9 სართულიანის მე-7 სართულზე. ბინა სარემონტოა. ტელეფონით, ბუნებრივი აირით. საწ.ფასი 5000$ ტელ. 73-02-74

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით, 8 სართულიანი სახლის 8 სართულზე. ფასი 11000$ ტელ. 61-71-46 ნანა

იყიდება მცხეთის რაიონის სოფ.ქსანში 1000 კვმ ხეხილიან ბაღში 2 სართულიანი სახლი. სახლს ორივე მხრიდან აქვს აივნები. შუქი და წყალი მუდმივი; ფასი 8000$ ტელ. 38-71-88 თამილა

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11, მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-25-83

### სხვადასხვა

უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი შეასრულებს ელექტროშედუღებას, სანტექნიკას, ელექტრო გაყვანილობას, ფილებით მოპირკეთებას. ტელ. 94-03-31 კობა

იყიდება ასაწყობი 3 ოთახიანი ფინური სახლი. ფასი 3000$ ტელ. 95-30-47

იყიდება იაპონური ორკასეტიანი მაგნიტოფონი „ტოშიბა"; საბჭოთა წარმოების „მაიაკი"; ბაბინის მაგნიტოფონი „როსტოვი". თან მოყვება აუდიოკასეტები (50 ლარი). ყველაფრის ფასი 350 ლარი. ტელ. 96-00-97; 38-11-19

იყიდება ქუთაისის წარმოების 24 ადგილიანი მაგიდა. ფასი 300 ლარი. ტელ. 95-73-37 მიშა

იყიდება მე-18 საუკუნის ანტიკვარული ავეჯი: დივანი, მრგვალი მაგიდა, ოთხი სკამი. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 93-49-77

ვარ მაღალკვალიფიციური ელექტრიკოსი. ვაკეთებ ყველანაირი სახის ელექტროგაყვანილობებს, ასევე სხვადასხვა მანქანა-დანადგარების მონტაჟს. ტელ. 98-33-59

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით მაქვს გამოცდილება ბავშვების აღზრდა-მოვლაში. ტელ. 73-02-74

### ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ) ხუთსართულიანი სახლის I სართულზე. ბელეტაჟზე. ავტოფარეხით ფასი 200$ ტელ. 37-23-78

### ვასწავლი

შევასწავლი ხელით ქარგვას შეღავათიან ფასებში (მაქვს კარგი სქემები). შესაძლებელია სახლში მისვლაც. ტელ. 96-57-46

ვასწავლი ჭრა-კერვას მოდელირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სწავლების ვადა ოთხი თვე. ტელ. 98-34-65

### ავტომობილი

იყიდება ავტომანქანა „ჰუნდაი სონატა", 1989 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში. ფასი 3500 დოლარი. ტელ 38-46-71; 38-15-02

### შევასწავლი

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ტელ. 64-76-77 მაიკო

---

**ბატონ თენგიზ მუშკუდიანს!**

მიიღეთ ჩემგან საიუბილეო თარიღის მილოცვა ყველა საუკეთესო სურვილებით.

მარად და მარად თქვენი თაყვანისმცემელი ორმოცდაერთი წლის სტაჟით დალი გ.

---

შაბათს, 21 ივნისს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ოფისში, (პუშკინის ქ.№5) ჩატარდება პრესკონფერენცია უშიშროების სამსახურის მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენის გამო.

მომხსენებლები:

**ნ.ნათაძე** – პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე

**ნ.გრიგალაშვილი** – გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი.

დასაწყისი 16 საათზე.

---

დედა ნუნუ რამიშვილი, მეუღლე პაატა ბუხრაშვილი, ვაჟი ოთიკო, ძმები იური, თამაზ ხუნდაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინო გიორგის ასული ხუნდაძე-ბუხრაშვილი**

პანაშვიდი 22, 23 ივნისს, 17 საათზე.

დაკრძალვა 24 ივნისს, 15 საათზე, ბალანჩივაძის ქუჩა, კ.8, ბ.25.

---

## გიორგი ძონენიძის ხსოვნას



ჩვენო პატარა გიორგი, რა თავზარდამცემი და ამაზრზენი იყო შენი დაღუპვის ამბავი.

ჩვენს თვალწინ გაიზარდე, ჩვენს თვალწინ აიდგი ფეხი, როგორ დავიჯეროთ, რომ შენ ველარ გიხილავთ, როგორ დავიჯეროთ, რომ შენ ველარ ირბენ ჩვენს ეზოში?..

გიორგი, რა ვუთხრათ შენს საყვარელ დედიკოს და მამიკოს? შენ არა მარტო შენი ოჯახი და ნათესავები დაიობლე, არამედ შენი ეზო, შენი მეზობლები. ჩვენო საყვარელო გიორგი, ჩვენო ცისფერთვალება ანგელოზო, 23 ივლისს რვა წელი შეგისრულდება, რა ძნელია ჩვენთვის ამ დღის მოახლოება?..

ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული ღმერთმა

დიდი მწუხარებით მეზობლები.

---

## ჯარში გასაწვევი არავარგისად ცნობილი 100 წვევამდელიდან – 4 ჯანმრთელია

ჯანდაცვის სამინისტროში ჩატარებულ კოლეგიის სხდომაზე განიხილეს საკითხი საქართველოს არმიაში წვევამდელთა 1996 წლის საშემოდგომო გაწვევის შედეგების შესახებ. საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ სამედიცინო პროგრამის კოორდინატორმა ნიკოლოზ ნეცუბიძემ კოლეგიის წევრებს წარუდგინა პროექტი, რომლის მიხედვით, არავარგისია 4408 წვევამდელი; ცენტრალური მუდმივმოქმედ კომისიაში დიაგნოზის დამტკიცებაზე კომისარიატებმა გაგზავნეს 3860. ამათგან არავარგისი გამოდგა 3060. პროგრამის კოორდინატორს არ აქვს მონაცემები, რამდენი ახალგაზრდაა გასაწვევი სამხედრო სამსახურში.

ჯანდაცვის სამინისტროს უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს შემოწმდეს საგაზაფხულო გაწვევის მონაცემებიც. (პრემიერი)

## პორტუგალიაში ჩამოსხმული «ხვანჭკარა» 50 დოლარი ეღირება

ამბროლაურის ღვინის ქარხანა, რომელიც „ხვანჭკარას" აწარმოებს, 2 წლის წინ ჩადგა მწყობრში, განაცხადა ამბროლაურის რაიონის გამგებელმა დავით გაგოშიძემ. პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი რუსეთი მას საჭირო რაოდენობით ვერ იღებს. „პრემიერისთვის" ცნობილი გახდა, რომ მოლდოვასა და რუსეთში მზადდება იაფფასიანი „ხვანჭკარა". საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს საელჩომ რუსეთში დასვა საკითხი ფალსიფიცირებული ქართული ღვინის დამზადება-რეალიზაციის შესახებ.

სულ მალე რუსეთში გაიყიდება პორტუგალიაში ჩამოსხმული „ხვანჭკარა", რომლის ფასი 50 დოლარი იქნება. (პრემიერი)

## რაჭაში მასწავლებლები ხელფასს დროულად იღებენ

რაჭაში მასწავლებლებს დროულად ურიგდებათ ხელფასი, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში თედო ისაკაძემ.

რეგიონში არც ერთი სკოლა არ დახურულა. ისაკაძის თქმით, ბევრ სოფელს რაჭაში სწორედ სკოლა ინარჩუნებს. (პრემიერი)

## ელექტროენერგიის მსურველებმა რაჭას უნდა მიაკითხონ

რაჭაში შუქი 24 საათის განმავლობაში არ ქრება. თედო ისაკაძის ცნობით, მწყობრში ჩადგა ამბროლაურის ტერიტორიაზე მდებარე „რიცეულჰესი", რომელიც 2,5 მგვტ. ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ერთ კვირაში მისი სიმძლავრე 3,5 – 4 მგვტ. იქნება. (პრემიერი)

# ლატარეა ყველასათვის

20 ივნისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 365347; | 80 ლარი – *20709; |
| 1000 ლარი – 293454; | 70 ლარი – *99747; |
| 900 ლარი – 460373; | 60 ლარი – *75885; |
| 800 ლარი – 532789; | 50 ლარი – *66650; |
| 700 ლარი – 537709; | 40 ლარი – *04725; |
| 600 ლარი – 484278; | 30 ლარი – *79349; |
| 500 ლარი – 524479; | 25 ლარი – **9230; |
| 400 ლარი – 373412; | 20 ლარი – **4436; |
| 300 ლარი – 286705; | 10 ლარი – ***474; |
| 200 ლარი – 488891; | 10 ლარი – ***327; |
| 100 ლარი – 355810; | 10 ლარი – ***803; |
| 100 ლარი – 559905; | 1 ლარი – ***454; |
| 100 ლარი – 599081; | 1 ლარი – ***347; |
| 100 ლარი – 424945; | 1 ბილეთი – *****2; |
| 100 ლარი – 575925; | 1 ბილეთი – *****1. |
| 90 ლარი – *04189; | |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

ოცდამეოთხე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12–დან – 14 სთ–მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ–მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის **XXIV** ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **8698; 2501;** გათამაშებაზე შეუძლიათ 27 ივნისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

მიკროავტობუსი „TOYOTA“ მოიგო ლატარიის ბილეთმა **№108797**.

# პროტესტი საკონსტიტუციო სასამართლოს ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა გამო

საპარლამენტო ფრაქცია „ლეიბორისტი“ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში სინანულს გამოთქვამს საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობის მისამართით, რომელიც, განცხადების ავტორთა თქმით, ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ მოექცა და დღემდე გააჭიანურა 66 პარლამენტარის სარჩელის განხილვა პრეზიდენტისა და განათლების მინისტრის წინააღმდეგ. როგორც უკვე ცნობილია, აღნიშნული სარჩელი საშუალო სკოლის უფროს კლასებში სწავლების საფასურის ანტიკონსტიტუციური წესით შემოღებას ეხება. „მანამდე კი სკოლებში გრძელდება მოსწავლეებისაგან ფულის უკანონო აკრეფა, რაც საძირკველს უთხრის კლასების შემცირებას, საშუალო სკოლების დახურვას და ბავშვების სასწავლო პროცესიდან გაძევებას, რომელთა უდიდესი ნაწილი უმუშევართა, დამნაშავეთა, მათხოვრების და უცხოეთში გადახვეწილთა რიგებს შეემატება“ – ნათქვამია განცხადებაში. მის ავტორებს მიაჩნიათ, რომ საკითხის დაკონსერვება საჭირო გახდა იმისათვის, რომ მთავრობას პარლამენტში მოესწრო განათლების ისეთი კანონპროექტის შეტანა, რომელიც ფასიან სწავლებას დააკანონებდა.

ფრაქცია „ლეიბორისტი“ და ლეიბორისტული პარტია პროტესტს გამოთქვამს საკონსტიტუციო სასამართლოს ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა გამო და კანონის შესაბამისად, სარჩელის დაუყოვნებლივ განხილვას მოითხოვს. (იფრინდა)

# შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძესა და ამერიკული ნავთობკომპანია „შევრონ ოვერსის“ პრეზიდენტის, რიჩარდ მაცკეს ხუთშაბათს შემდგარი შეხვედრის დროს საუბარი ყაზახეთის თენგიზის საბადოდან მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხს შეეხო. რიჩარდ მაცკეს განცხადებით, ყაზახური ნავთობის აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ბათუმამდე რკინიგზით ტრანსპორტირების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „შევრონი“ ყაზახური ნავთობის ბაქო–ნოვოროსიისკის ნავთობსადენით ტრანსპორტირების კონცეფციასაც უჭერს მხარს.

„უახლოეს მომავალში კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვება გადააჭარბებს ბაქო–ნოვოროსიისკის ნავთობსადენის გამტარუნარიანობას და აუცილებელი გახდება ახალი მაგისტრალის მშენებლობა. გამომდინარე აქედან, „შევრონს“ სავსებით რეალურად მიაჩნია ნავთობსადენის ახალი მაგისტრალის საქართველოს ტერიტორიაზე გავლა“ – დასძინა რიჩარდ მაცკემ.

ჰეიდარ ალიევისა და ნურსულთან ნაზარბაევის განცხადებები, ძირითადი ნავთობის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების შესახებ, დიდ გავლენას მოახდენს ნავთობსადენის ძირითადი მარშრუტის არჩევის საკითხში – იუწყება სააგენტო „ინტერფაქსი“. (იფრინდა)

# პოლიგონი უპირობოდ უნდა გადაიტანონ

აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ ამას დღევანდელი ხელისუფლება არ გააკეთებს და თუ გააკეთა, მხოლოდ პროიმპერიული პროვოკაციის მიზნით“ – აღინიშნა გუშინ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის სხდომაზე.

აქვე, საუბარი შეეხო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული პოლიგონის საკითხს და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის აზრით, პოლიგონი უპირობოდ უნდა გადაიტანონ სხვა ადგილას, ხოლო 26 მაისს ჩატარებული არასამთავრობო მიტინგის დარბევის ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად და უხეშად არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულ მიტინგების, შეკრებებისა და მსვლელობების უფლებებს. (იფრინდა)

# მკვდარი მკვდარს აკლდა...

როგორც „პრემიერის“ კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში მუხათგვერდის სასაფლაოზე დაკრძალეს 7 უპატრონო მიცვალებული. ერთი მიცვალებულის დაკრძალვა სახელმწიფოს 56 ლარი უჯდება, მაშინ, როცა სუდარის ფასი 30 ლარია. (პრემიერი)

# დააკავეს ნარკოტიკების რეალიზატორი

შსს–ს პრეს–ცენტრის ცნობით, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მეტროს სადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს სიღნაღში მცხოვრები ლიანა მისაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 58 ჩეკად დაფასოებული ოპიუმი. ლ.მინაშვილის ბინის ჩხრეკისას (იგი თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს) ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული 249 ჩეკად დაფასოებული ოპიუმი, საერთო წონით 250 გრამი. ტარდება ღონისძიებები ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის პირველადი წყაროს დადგენა–დაკავების მიზნით (იფრინდა)

# გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ხანმოკლე შესვენება ლაპარაკის დროს; 4. მოძრაობის რიტმი; 6. ბუნებრივი ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, ილებენ; 8. უკიდურესად განსხვავებული, საპირისპირო საწინააღმდეგო რამ; 10. ფოლადის ვიწრო ძელი, რომელზედაც ვაგონის თვლები მოძრაობს; 12. ტოლი, თანამონაწილე, თანამოაზრე; 13. მუსულმანთა ღმერთი; 14. დღის, წლის რაიმე მონაკვეთი; 15. საქართველოს რაიონული ცენტრი; 17. მცირე ზომის ლექსი, ზღაპრული შინაარსის; 18. მდინარე რუსეთში; 19. ერთი ჟანრის მხატვრული ნაწარმოები; 22. ლომის ან ვეფხვის ლეკვი; 27. ბრალდებულის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 8. გარკვეული წესით დალაგებული ასოები; 29. ქალაქი საქართველოში; 30. ქართული ანბანის ასო; 32. წერილობითი საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია პირები ან საგნები; 33. სასპორტო ინვენტარი; 36. ემბლემა, განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს 38. კვადრატული ფორმის მოედანი კრივში; 39. ავღანეთის დედაქალაქი; 40. სოფელი ახმეტის რაიონში; 41. საოლქო ცენტრი რსფსრ–ში; 42. სოფელი მარნეულის რაიონში.

შვეულად: 1. ტყის მსხალი; 2. კურკოვანი მცენარე; 3. გარეული ფრინველი; 4. რაიმე ნივთიერების ცომისებური მასა; 5. თვალის ფერადი გარსი; 7. ნიკო ლომოურის სამშობლო; 8. ვაზის ჯიში; 9. რისამე ბოლო, დასასრული; 11. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის გუნდი; 14. თარიღი (რუს.კავშ.); 16. იაპონური ფულის ერთეული; 19. ოფიციალური საბუთი რაიმეს დასადასტურებლად; 20. ყანის გალეწვის საშუალება (იარაღი); 21. მდინარე ვირჯინიის შტატში; 23. ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფო; 24. ხეიარა, ბალახოვანი ორსახლიანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა; 25. ევროპის მდინარე; 26. თევზის სახეობა; 31. საქართველოს მდინარე; 32. ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; 33. ამერიკელი ზანგების სიმებიანი საკრავი; 34. სხვადასხვა ფერის მინერალი; 35. სოფელი სიღნაღის რაიონში; 36. ძვირფასეულობა; 37. ხემცენარე.

პაატა კოდუა

## ნინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ფასკუნჯი; 2. ბიჰევიორიზმი; 3. კარაველა; 4. თაყაიშვილი; 5. აბონიმენტი; 6. მალარია; 7. არქონტი; 8. ტომები; 9. მაგმა; 10. დიდრო; 11. ბონი; 12. ნაგანი; 13. აგზო; 14. ვიოლონჩელო; 15. ვაქცინაცია; 16. რასა; 17. ყორე; 18. ფანასკურტელი; 19. სენსიმონიზმი; 20. ბირმა; 21. ირტიში; 22. კოლტი; 23. ალო; 24. ფხა; 25. კამა; 26. ხუნტა; 27. მალტა; 28. ცელი; 29. კონჩი; 30. რაფია; 31. ტროა; 32. პანდა; 33. მაზლი; 34. ტოგა; 35. ირისი; 36. კლიტე; 37. ნერუ; 38. ინდი; 39. რადა; 40. დეგა; 41. ამინ; 42. ხატი; 43. პო; 44. ია; 45. ინტერლუდია; 46. კაბაკაბანა.

შვეულად: 1. ახვლედიანი; 2. ჯორჯონე; 3. იასაყი; 4. მოლოხი; 5. აბატისა; 6. ლანდსტინგი; 7. ადმინისტრაცია; 8. იზიდა; 9. ლუნონი; 10. ბილბაო; 11. მაზრა; 12. ტრიგონომეტრია; 13. იშტვანოვიჩი; 14. რეციდივისტი; 15. აფრიკაანსი; 16. მისტიციზმი; 17. ტეტრავონგი; 18. სალამანდრა; 19. ლაკონიზმი; 20. ხირომანტი; 21. ნოქტიურნი; 22. ოქმი; 23. მალა; 24. ლაბრადორი; 25. რაპირა; 26. სარდიონი; 27. ლოკოკინა; 28. ტამიში; 29. ერდო; 30. გამა; 31. აპატიტი; 32. მანდატი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოში
მოწ. №06/4-444